ლელო

№ 305 (12 375) **29** დეკემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბის რჩეულნი

ირაკლი მაჩხანელი საუკეთესოა

11

გუშინ რაგბის კავშირმა სეზონის ლაურეატები დააჯილდოვა. საუკეთესო მოთამაშის პრიზი ირაკლი მაჩხანელს ერგო

ნუგზარ სუარიძის ფოტო



დინამო დინამოსთან

გოჩა ძასოხოვი: დინამოს ხარჯებს დავფარავთ და ვიყიდით! 2

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

ახალი ინვესტორი ქართულ ფეხბურთში

რამიშვილმა და პროფლიგამ ქართული ფეხბურთის ნახევარი მილიონი მარიოტში გაიფორმეს

3 პრეზენტაცია

www.kazbegi.com

გაახლენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

გურამ საღარაძე და ვლადიმერ ელოშვილი

დაჯილდოება

სპორტსაზოგადოება დინამოს მედლები შვიდეულს

პრიზები საახალწლოდ

მაშ, ვინც გასულ საუკუნეში ასახელა ქართული სპორტი, გუშინ სპორტსაზოგადოება „დინამომ“ და მისმა თავკაცმა **გოჩა ძასოხოვმა** კაფე „მსოფლიო სპორტში“ უმასპინძლეს. ვეტერანი სპორტსმენები სპორტსაზოგადოება „დინამომ“ საპატიო მედლების გარდა ფულადი ჯილდოებითაც დაჯილდოვა. ფულადი პრიზები ვეტერანთა გარდა მოქმედ სპორტსმენებსაც ხვდათ წილად.

გუშინდელი შეხვედრა წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა **გურამ საღარაძემ** გახსნა. მერე სპორტულ საზოგადოებას გოჩა ძასოხოვ, **გოგი თოფაძე, ნიკო ლეკიშვილი, შოთა გორგოძე** და სხვები მიესალმნენ. სპორტსაზოგადოება „დინამოსა“ და სპორტულ საქართველოს მოახლოებული შობა-ახალი წელი მიულოცეს. მერე კი ჯილდოები და ფულადი პრიზები დაარიგეს.

ოთარ კანდელაკი, ჯემალ ზეინკლიშვილი, ილია დათუნაშვილი, ამირან სხიერელი, ვოვა ჟღენტი, ლევან ინწკირველი, ოთარ მიმინოშვილი - აი ამ შესანიშნავ შვიდეულს წილად ხვდა „დინამოს“ საპატიო მედალი და 500 ლარიანი ფულადი პრიზი.

თუმცა, ფულადი პრიზები მხოლოდ ამით არ დასრულებულა. სპორტსაზოგადოება „დინამომ“ მედალი და 500 ლარი გადასცა **ვოვა ელოშვილს**, რომელსაც ცოტა ხნის წინათ 80 წელი შეუსრულდა.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ აღმასრულებელი მდივნის **დავით გობეჯიშვილის** გადაწყვეტილებით არც მოქმედი, ახალგაზრდა სპორტსმენები დაუტოვებიათ ფულადი პრიზის გარეშე.

დავით ბედინაძე, ირაკლი ცირეკიძე, მანუჩარ კვირკველია, ნესტორ ხერგიანი, გიორგი გოგშელიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ბადრი ხასაია, ოთარ თუშიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი - მოქმედი სპორტსმენები 1 000 ან 1 500 ლარით დააჯილდოვეს.

ამის შემდეგ შეკრებილებმა ნუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულ პოლიციელებს, რომლებიც ადრე ფეხბურთში ან სპორტის სხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. 10 გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახს სპორტსაზოგადოება ფულად დახმარებას გადასცემს.

აქვე გაირკვა ისიც, რომ სპორტული მანეჟი სპორტსაზოგადოება „დინამომ“ შეიძინა. მალე ის სრულად განახლდება და სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენების აღზრდას მოემსახურება.

დავით ცაბაძე

ბრძოლდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

დინამო დინამოს უბრუნდება?

გოჩა ძასოხოვი: დინამოს ყველა ხარჯს დავფარავთ და ვიყიდით!

გუშინ, კაფე „მსოფლიო სპორტში“ ვეტერან და მოქმედ სპორტსმენებთან ნლის შემაჯამებელი შეხვედრისას სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავკაცმა **გოჩა ძასოხოვმა** მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ის მზადაა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისთან“ 6 თვის წინათ დაწყებული მოლაპარაკებები კლუბის შესყიდვის თაობაზე, გააგრძელოს. მისი თქმით „დინამოს“ ხელმძღვანელობას უკვე ნათქვამი აქვს სიტყვიერი თანხმობა და ძასოხოვს სჯერა, რომ პირობა არ შეიცვლება და სპორტსაზოგადოება საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დაიბრუნებს.

სპორტსაზოგადოება მზადაა არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი კლუბის სანაცვლოდ ხარჯებიც გაწიოს და თუ კლუბს რამე დავალიანება გააჩნია, ისიც გაისტუმროს.

- საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობას 6 თვის წინათ მივმართეთ. მართალი გითხრათ, ჩვენს გარდა მათი მხრიდანაც იყო სურვილი ჩვენი გაერთიანებისა. ვფიქრობ, საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ თავის სიტყვას შეასრულებს, ეს გუნდი ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ დაუბრუნდება.

ერთსაც დავამატებდი, ჩემი აზრით, გქონდეს ისეთი გრანდიოზული სტადიონი, როგორიც ეროვნული არენაა და არ გყავდეს გუნდი, ეს იგივეა, რაც გქონდეს ლამაზი ეტლი და არ გყავდეს ცხენები.

- საუბარია საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ სრულად ყიდვაზე თუ გარკვეულ წილზე?

- კლუბს რა ხარჯებიც აქვს იმას დავფარავთ, თუ რამე დავალიანება აქვს იმასაც გავისტუმრებთ. ჩვენ მზად ვართ ეს კლუბი ვიყიდოთ და უკან დავიბრუნოთ.

- საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობას უკვე მიმართეთ წერილით თუ არა, როდის აპირებთ ამის გაკეთებას?

- უკვე მივმართეთ, წერილი გავაგზავნეთ და იმედი მაქვს, საკითხი მალე დადებითად გადაწყდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობას“ საკუთარი პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია.

დავით ცაბაძე



გოჩა ძასოხოვი

ლეგიონერები

მარცვალაძე და ალადაშვილი ხარკოვში?

„ზაპარპატიეში“ საიჯარო ვადის დასრულების შემდეგ **კახა ალადაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** შემდგომი ნავსაყუდელი ამ დრომდე უცნობი იყო. პრინციპში გადაწყვეტით არც ახლა შეიძლება რამის თქმა, თუმცა უკრაინულ წყაროებს თუ ვენდობით, ქართველები კარიერას „ხარკოვში“ გააგრძელებენ. უუგორდელებს დიდი სურვილი ჰქონდათ მარცვალაძე და ალადაშვილი შეენარჩუნებინათ და ამ საკითხზე კიევის „დინამოსთან“ მოლაპარაკებებიც წამოიწყეს, თუმცა, ჩანს არაფერი გამოუვიდათ.

„“ზაპარპატიეში“ იჯარით მყოფი ფეხბურთელები კლუბს მალე დატოვებენ. ესენი არიან კრივოშეევი, დიდენკო, მარცვალაძე და ალადაშვილი. კრივოშეევის და დიდენკოს მომავალი კლუბი ჯერ არაა გარკვეული, ალადაშვილი და მარცვალაძე კი ძალების მოსინჯვას „ხარკოვში“ აპირებენ“წერენ უკრაინელები.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ნახევარი მილიონი და სამმაგი საპრიზოები

VTB: ახალი ინვესტორი ქართულ ფეხბურთში

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ოთხწლიანი არსებობის განმავლობაში, ყველაზე გულუხვი სპონსორი მოძებნა. ეს ზედ ახალი წლის წინ მოხდა. „VTB ბანკი ჯორჯია" ცნობილი რუსული საბანკო ჯგუფის, „ვნეშტორგბანკის" ქართული შვილობილია. მისმა ხელმძღვანელობამ ლიგასთან მოლაპარაკება მცირე ხნის წინათ წამოიწყო და შედეგი ყველას გააოცებს - ნახევარი მილიონი ლარი (500.000) ორნლიან ხელშეკრულებაში, პლუს კიდევ ორნლიანი ურთიერთობის პერსპექტივა.

ხელშეკრულება გუშინ საზეიმო ვითარებაში, „თბილისი-მერიოტში" გაფორმდა. სასტუმროს საპრესკონფერენციო დარბაზში ლიგის ხელმძღვანელობამ საფეხბურთო სამყაროს საახალწლო მიღება გადაწყვიტა და ახალი სპონსორიც წარმოადგინა.

„გვსურს, რომ საახალწლო მიღებას ყოველწლიური ხასიათი მივცეთ და მომავალში გაცილებით მასშტაბურად ჩავატაროთ. ვფიქრობ, სასურველია, რომ ლიგა, ფედერაცია, ფეხბურთელები, ვეტერანები, ჟურნალისტები, სპონსორები ხშირად ვხვდებოდეთ. ასე აზრების გაზიარებასა და დაახლოებას ხელს შეუწყობთ.

დღეს წარმოგიდგენთ ჟურნალ „ლიგის" ახალ ნომერსაც, სადაც მრავალი საინტერესო ფაქტია ასახული - ქართული ფეხბურთის მიმდინარე მოვლენები, საფეხბურთო ტენდენციები, სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, „კოლხიდასთან" გაფორმებული სატელევიზიო კონტრაქტი, გასული წლის მოვლენები და ა.შ. სახელმწიფოს მხარდაჭერით, 2008 წლისთვის 10 სტადიონის მშენებლობა დასრულდება, რაც უდიდესი მოვლენა იქნება.

მადლობა მსურს გადავუხადო ჩვენს ყველა სპონსორს, პარტნიორსა და გულშემატკივარს, რომელთა ხელშეწყობითაც მრავალი სასიკეთო საქმე ნამოვიწყეთ.." - განაცხადა პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა.**

ამის შემდეგ საზოგადოებას „VTB ბანკი ჯორჯია" გენერალური დირექტორი **ევგენი ნამერინსკი** წარუდგა და ახალ პროექტის ისაუბრა.

„ჩვენი საბანკო ჯგუფი სერიოზულ გუნდებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. მაგალითად, მოსკოვის ცსკა-სთან, „ზენიტთან", რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტთან და პარტნიორობამ თითოეულ მათგანთან გაამართლა. ასევე გვსურს ქართული ფეხბურთის განვითარებაში მივიღოთ მონაწილეობა, რადგან ის ყოველთვის ცნობილი იყო დიდი ფეხბურთელებითა და მოღწეებით. მიგვაჩნია, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი წარმატებული რგოლია და როდესაც ინტერესების თანხვედრა აშკარა გახდა, თანამშრომლობას სიამოვნებით დავთანხმდით.

რას ითვალისწინებს ხელშეკრულება? ლიგის პროექტებში ნახევარი მილიონი ლარის ინვესტიციას ვგეგმავთ. თანხა სუპერთასის, ეროვნული ჩემპიონატისა და ქვეყნის თასის საპრიზო ფონდს მნიშვნელოვნად გაზრდის. მჯერა, თანამშრომლობა ორი წლის შემდეგაც გაგრძელდება."

„ამერის" პრეზიდენტმა **ზურაბ ფოცხვერიამ** საკლუბო ფეხბურთში ბიზნეს-მენთა მისვლის აუცილებლობაზე გააამახვილა ყურადღება.

„მივესალმებით ფეხბურთის ფედერაციისა და ლიგის იმ ნაბიჯებს, რომლის მიზანიც ფეხბურთის კომერციალიზაციაა. იმედია, მალე ბიზნესისთვის კლუბებიც საინტერესო პარტნიორები გახდებიან. ეს ქართული ფეხბურთის განვითარებას კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს..."

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** სპონსორებისადმი მადლიერების სიტყვები არ დაიშურა:

„ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ვინც ფეხბურთში ფულს აბანდებს. თქვენი ნაბიჯები ახლა უფრო დასაფასებელია, როდესაც ჩვენი ფეხბურთი ჯერ კიდევ არაა სასურველ დონეზე განვითარებული."

ბანკის გენერალურ დირექტორს ვკითხეთ, ფულის დაბანდება საკლუბო სტრუქტურებში შედის თუ არა მათი ინტერესის სფეროში.

„სასპონსორო თანხა კლუბებს ისედაც მოხმარდება, რადგან ხელშეკრულების განხორციელების შედეგად, ჩემპიონატში, თასსა და სუპერთასსზე საპრიზო ფონდი დაახლოებით, სამმაგად გაიზრდება. თუკი სუპერთასზე 10 ათასი ლარი იყო, ახლა ორჯერ-სამჯერ გაიზრდება. ასევე მოხდება ჩემპიონატშა და თასზე. კონკრეტული გადაწყვეტილება კი თავად ლიგის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს" - გვითხრა ევგენი ნამერინსკიმ.

მერაბ მამულაშვილი

მამუკა კვარაცხელიას პრესკონფერენცია

რაზომ მითვალთვალებენ?

გუშინ უეფას მედია-ოფიცერმა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა **მამუკა კვარაცხელიამ** პრესკონფერენცია გამართა და მოულოდნელად, საუბარი ფეხბურთის ნაცვლად, დევნასა და თვალთვალზე დაიწყო:

- რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისა და კულტურისა და სპორტის მინისტრის, გოკა გაბაშვილის საქმიანობა გავაკრიტიკე.

ზუსტად მეორე დღეს ქომაგთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელ რობერტ პეტრიაშვილთან ერთად, რუსთველზე მოვდიოდი და შევნიშნე, რომ ორი ჯეელი მითვალთავლებდა. ჩემი ეჭვები ბატონმა რობერტმა თავიდან არ გაიზიარა, მაგრამ შემდეგ თვალთვალი აშკარა გახდა და ისიც დარწმუნდა, რომ არ ვცდებოდი.

რამდენიმეხნიანი დაკვირვების შემდეგ, ახლოს ჩაგვიარეს, კიდევ ერთხელ ამათვალიერ-დამათვალიერეს, სადარბაზოში გაუჩინარდნენ და მობილურით ვიღაცას დაუკავშირდნენ. იმ დღეს „იმედში" ჩემს მეგობარ ბიძინა ბარათაშვილთანაც ვიყავი. ეტყობა, ეს მთლად საეჭვოდ ჩათვალეს და თვალთვალი ამიტომაც დამიწყეს.

და მაინც, ჩემთვის გაუგებარია თვალთვალის მოტივები, პოლიტიკოსი არ ვარ და თანამდებობის პირს, მხოლოდ ფეხბურთიდან გამომდინარე ვაკრიტიკებ. ეს პოლიტიკურ თამაშებში ჩართვას არ ნიშნავს. ამიტომაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ ფაქტის გახმოვანება...

- მეორე საკითხი, ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში უცხოელ სპეციალისტთა მიღებული გასამრჯელო და მათგან მიღებული უკუგებაა.

მე მოვიპოვე ფეხბურთის განვითარების კონცეფცია, რომელშიც წერია, რომ უცხოელთა მოწვევისთვის სახელმწიფოს 7.773.000 ლარი უნდა გაეღო. აქედან, მხოლოდ **კლაუს ტოპმოლერის** გასამრჯელო 5.485.000 ლარია. საქართველოს ნაკრებმა მის ხელმძღვანელობით 25 მატჩი ჩაატარა, 7 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 13 წააგო. ბურთების შეფარდებაა 26:30.

რალფ მინგე მსოფლიოში გამორჩეული მწვრთნელია. მას ახალგარდული ნაკრები სულ 6 თამაში ებარა, 2 მოიგო და ორივე მალტასთან, 1 ფრე და 3 წაგება. ამის შემდეგ, მან 1.307.000 ლარი მიიღო! არ ვიცი, ამას რა ქვია, ამხელა ხელფასს ექვს თამაშში კიდევ ვის გადაუხდიან?! კარგად ვიცი, რომ ფედერაციის ახალი ოფისის აშენებას ამ თანხის ნახევარი დასჭირდა.

პეტარ სეგრტმა 9 მატჩიდან 3 მოიგო და 6 წაგო. მისი ხელფასი არ ვიცი, მაგრამ, ნესით, **ჰაინც ტოპმიოლერზე** ნაკლები ხელფასი რა უნდა ჰქონდეს. ჰაინცმა კი 654.000 ლარი მიიღო. მისი ხელმძღვანელობით, 19-წლამდელთა ნაკრებმა 28 მატჩი ჩაატარა, 12 მოგება, 2 ფრე და 14 წაგება, ბურთების შეფარდება 31:39.

მან ოთხი შესარჩევი ციკლიდან სამი ბოლო ადგილზე დაამთავრა და მხოლოდ ერთში დაიკავა მეორე ადგილი. ისიც მაშინ, როდესაც კობა ჟორჟიკაშვილი ეხმარებოდა და ამის შემდეგ კობა ნაკრებიდან გააგდეს. ეს ყოველივე ხდება იმ ნაკრებში, რომელშიც ბოლო წლებში გამორჩეულად ნიჭიერი თაობა შეიყარა! ამხელა ხელფასს ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი **კარლ ბრუკნერი** იღებს, რომელმაც ნაკრები რამდენჯერმე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დამაჯერებლად გაიყვანა.

17-წლამდელთა მწვრთნელმა **ჰერბერტ ცანკერმა** 327.000 ლარი მიიღო. 43 თამაშიდან 18 მოიგო, 3 ფრე და 22 წაგება. მისმა ნაკრებმა ორივე შესარჩევი ციკლი ჩააგდო.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ცალკე ხარჯია მათი მივლინებები, სასტუმროში ცხოვრება და ა.შ. თანაც, ცხოვრობენ „მარიოტში" და არა სადმე. გეკითხებით, მათგან რას იღებს ქართული ფეხბურთი, რა უკუგება გვაქვს?

როგორც ვხედავთ, ესაა ქართულ ფეხბურთში განხორციელებული უდიდესი აფიორა. მახსოვს, დანიშვნისას კლაუს ტოპმიოლერი „შპიგელს" უმტკიცებდა, საქართველოში გასამარჯვებლად მივდივარო. გაიხსენეთ მისი ამასწინანდელი დაპირებები და მიხვდებით, რომ ისინი აბსოლუტურად იდენტურია!..

- მესამე საკითხი ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაა. მას კარგად გავეცანი და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ფეხბურთის განვითარების პროგრამის ნაცვლად, რეალურად ეს ფეხბურთის დოტაციის გეგმაა და მეტი არაფერი! კარგად ვიცი ისიც, რომ ფედერაციაში სერიოზული ფინანსური კრიზისია და ტოპმიოლერთან კონტრაქტი ჯერ ამის გამო არ ფორმდება...

- დაბოლოს: სხვადასხვა გადაცემებში ფეხბურთზე სასაუბროდ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და გულშემატკივარებს რომ ინვევენ, ეს გასაგებია. ამავე დროს, მსახიობი არ დარჩენილა მიუწვეველი და მე რატომღაც, კაციშვილი აღარ მეძახის. საქართველოში უეფას ერთადერთი მედია-ოფიცერი ვარ, ჩემპიონთა ლიგას ვემსახურები, ცსკა-ს და „ფენერბახჩეს" თამაშებს მანდობენ და აქ თითქოს ვერ მამჩნევენ. იმიტომ, რომ კრიტიკას არ ვერიდები? როგორ დავმალო ის, რომ გოგიტა გოგუა შეწუხებულია, ტოპმიოლერი მენეჯერობას რომ სთავაზობს, ხიზანიშვილს მიზეზის აუხსნელად რომ არ ათამაშებენ და ა.შ.? ფედერაციამ დანაშაული უკვე ჩაიდინა და როგორც ჩანს, მეორე დანაშაულისთვისაც ემზადება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

მუჯირი წლის მხსნელია

სამარელებმა წლევანდელი სეზონი შეაფასეს და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებიც დაასახელეს. ნომინანტებში ქართულმა გვარ-სახელმაც გაიელერა. „კრილიასა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **დავით მუჯირს,** თანაგუნდელ **მარკო ტოპიჩთან** ერთად, არც მეტი არც ნაკლები წლის მხსნელის წოდება ერგო.

„გასული სეზონი „კრილიასთვის" მძიმე იტყო. 9 თვიანმა პერიოდმა მოიცვა გზა ლიდერობიდან აუტსაიდერობამდე. ამას გარდა კლუბში გარკვეული ფინანსური და საკადრო პრობლემებიც იყო. ამასთან კონფლიქტიც კი დაფიქსირდა მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „კრილია" გასავარდ ზონამდეც კი დაეშვა. თუმცა მას მერე, რაც აგვისტოში გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ალექსანდრ ტარხანოვმა სერგეი ობორინი შეცვალა, ვითარება ნელ-ნელა სასიკეთოდ შეიცვალა. გუნდის ლიდერები დავით მუჯირი და მარკო ტოპიჩიც უფრო უკეთ ათამაშდნენ. „რუბინთან" და „ლოკომოტივთან" სწორედ მუჯირისა და ტოპიჩის კარგმა თამაშმა განაპირობა ის ქულები, რომლებმაც „კრილიას" უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა", - ამჰვარად ახსნეს თავიანთი გადაწყვეტილება სამარელებმა.

დავით ცაბაძე

თეჩილი

გაიოზ ჯეჯელავა. 29.14.1914. თბილისი. 16.03..2005, იქვე ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა თბილისის გუნდებში: ტსპო-ში (1933-34) "ლოკომოტივსა" (1935-36) და "დინამოში" (1937-48) სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 135 მატჩი (59 გოლი). შსრკ ჩემპიონატების ორგზიას მეორე (1939-40) და ორგზის მესამე (1946-47) პრიზიორი. Iყო მოსკოვის ვვს-ისა და (1950-51) და თბილისის "დყნამოს" (1955-57) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებირ ორდენის კავალერი.

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. ზესტაფონი

www.pfl.ge

პირველად საჩემპიონო გზაზე...

თემურ მახარაძე

როგორც იქნა, „ზესტაფონმა“ ის სტაბილურობა შეიძინა, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალებას აძლევს. ფეროელებს წინა სეზონებშიც რიგიანი გუნდები ჰყავდათ, მაგრამ გაუთვალისწინებელი ქულები მრავლად კარგეს და მხოლოდ თასზე ფიქრით კმაყოფილდებოდნენ.

მიმდინარე სეზონში კი პროგრესი აშკარაა. თანაც, თუ იმას გავიხსენებთ, რომ ინტერტოტოს თასზე განცდილმა მწარე მარცხმა და ბრაზილიელი **სანტოსის** ოჯახის თავს დამტყდარმა უბედურებამ კლუბი რბილად რომ ვთქვათ, არაკომფორტულ სიტუაციაში ჩააყენა, „ზესტაფონის“ წევრთა შედეგებს მით უფრო მაღალი შეფასება უნდა მივცეთ.

ჩემპიონატის პირველ ტურში „ზესტაფონი“ შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ ფრეს დასჯერდა, ამას კი გამარჯვებათა 11-მატჩიანი სერია მოჰყვა. პირველი წრის ბოლო, უპრინციპულესი მატჩი იმერლებმა უმთავრეს კონკურენტ „დინამოსთან“ დათმეს და ლიდერობა თბილისელებს გადაულოცეს, მაგრამ ეს ამბავი „ზესტაფონის“ მიზანს ვერ ცვლის - ფეროელები ქართული ოქროსთვის იბრძვიან და ყველაფერი მათ ხელთაა.

სიტყვამ მოიტანა და საქართველოს უმაღლეს ლიგაში მიღწეული დაუმარცხებელი სერიით „ზესტაფონი“ მსოფლიო რეკორდსმენთა მარაქაში გაერია. **თემურ მახარაძის** გუნდი „დინამომდე“ ზედიზედ 34 მატჩის განმავლობაში იყო უძლეველი და ამ მაჩვენებლით მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მოხვდა.

ქართული სეზონის განახლებამდე საკმაო დროა დარჩენილი და ჩვენი უმაღლესი ლიგის ბინადარნი შეძლებისდაგვარად ემზადებიან საგაისო ბატალიებისთვის. „ზესტაფონს“ ფინანსური შესაძლებლობები მრავალფეროვანი და სრულყოფილი მზადების საშუალებას აძლევს. რამდენიმე დღეა, ფეროელები ბაკურიანულ შეკრებაზე არიან, სადაც ბუნებრივია, ფიზიკურად ემზადებიან. საახალწლოდ გუნდის წევრები ოჯახებს მიაშურებენ და ვარჯიშს 4 იანვარს განაახლებენ.

შეკრების მეორე ეტაპი კვლავ ბაკურიანსა და თბილისში გაგრძელდება, 24 ან 25 იანვარს კი „ზესტაფონი“ ანთალიაში გაემგზავრება. მთავარი სამზადისი სწორედ იქ იქნება, გუნდი საკმაო რაოდენობის საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს და სამწვრთნელო შტაბიც სავარაუდო ახალწვეულებს იქვე დააკვირდება. შესაძლოა, „ზესტაფონმა“ თურქეთიდან ახალი ლეგიონერები გამოიყოლოს. იმერლები საქართველოში თებერვლის შუა რიცხვებში დაბრუნდებიან. 17 თებერვალს „ზესტაფონი“ 2008 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, მახარაძის გუნდი თასის მეოთხედფინალში რუსთავის „ოლიმპს“ ესტუმრება.

კლუბის მესვეურებს რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გადაბირებაც სურთ, მათი გვარები ჯერჯერობით, არ კონკრეტდება. სამაგიეროდ, უკვე დაზუსტებითაა ცნობილი „ზესტაფონიდან“ წამსვლელთა ვინაობა. კაპიტან **კახა ჩხეტიანს** კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა და თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა სამსახურს იპოვის. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ იგი დიდი მადლიერებით გააცილა. ჩხეტიანის მსგავსად, პირველ წრეში **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეც** გამოირჩეოდა. მას ფეროელებთან საიჯარო ვადა ეწურება და მოსკოვის „ლოკომოტივს“ უბრუნდება. ასე რომ, თემურ მახარაძეს ორი საკვანძო ფიგურის შემცვლელის პოვნა მოუწევს. ჩხეტიანიც და ჭელიძეც „ზესტაფონის“ შემადგენლობაში უკვე აღარ ვარჯიშობენ.

სამაგიეროდ, არსად წასულა **ბექა გოცირიძე**. მართალია, გავრცელდა ხმები მისი ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ „ზესტაფონისთვის“ ოფიციალური ნინადადებით ჯერ არავის მიუმართავს. შესაბამისად, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ გოცირიძე სეზონს საქართველოში ჩაამთავრებს.

დაბოლოს, იანვრის პირველი რიცხვებისთვის „ზესტაფონი“ სანტოსს ელის. ბრაზილიელ მცველს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, მომხდარი ამბის შემდეგ, იგი პირველი ამ წლის ბოლომდე შვებულებაში გაუშვეს, სეზონის მეორე ნახევარში კი იგი წესით და რიგით, კვლავ უნდა ვიხილოთ „ზესტაფონის“ მაისურით.

ლევან ჯანეზაშვილი

დინამო-ზესტაფონი 2:0. ბოლო ტურის მატჩში ზესტაფონელებმა სარეკორდო სერია შეწყვიტეს

ზესტაფონი I წრეში



	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. გორგოლი	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლები	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	13	4	3	6	16:17	15
10. სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
11. მერანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. გათუმი	13	1	1	11	5:28	4

ზესტაფონი

	მატჩი	ერთიანობა	სულ	ჯვითერ	სულ
კესანი	13	13	-	3	-
ს. თოდუა	13	13	-	2	-
ჟანტურია (მეკ.)	13	13	-5	1	-
რ. ონიანი	12	12	2	1	-
კ. ჩხეტიანი	12	12	-	-	-
საჯაია	12	12	1	3	-
ჭონატასი	12	12	2	-	-
ფიფია	12	9	4	1	-
გ. ნოდ. ჭელიძე	11	10	8	1	-
ვიეირა	10	9	3	1	-
იონანიძე	10	-	5	2	-
ლოგუანიძე	8	8	-	1	-
ბ. გოცირიძე	8	6	1	1	-
შ. ლონდაძე	8	3	-	-	-
ბიტორ	7	1	-	-	-
ხიდეშელი	5	1	-	-	-
გ. ნუგ. ჭელიძე	4	3	-	-	-
ნ. კვასხვაძე	4	3	-	1	-
გ. ჩხეტიანი	3	3	-	1	-
ბენაშვილი	3	-	-	-	-
დაუშვილი	1	-	-	-	-
რ. კვასხვაძე (მეკ.)	1	-	-	-	-

I ტური

10.08 შ ვიტ ჯორჯია 1:1
გოლი: ვიეირა

II ტური

18.08 ს მესხეთი 2:0
გოლები: ვიეირა, ფიფია

III ტური

25.08 შ მგლები 2:0
გოლები: იონანიძე (2)

IV ტური

31.08 შ ლოკომოტივი 5:0
გოლები: ვიეირა, ბ. გოცირიძე, გ. ნოდ. ჭელიძე, რ. ონიანი, იონანიძე

V ტური

14.09 ს დილა 2:1
გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე (2)

VI ტური

22.09 შ ოლიმპი . 2:1
გოლები: ფიფია (2)

VII ტური

28.09 ს სიონი 2:0
გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, საჯაია

VIII ტური

7.10 შ გორგოლი 1:0
გოლი: გ. ნოდ. ჭელიძე

IX ტური

21.10 ს მერანი 1:0
გოლი: იონანიძე

X ტური

28.10 შ სპარტაკი 2:0
გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, რ. ონიანი

XII ტური

24.11 შ გათუმი 4:0
გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, ჭონატასი, ფიფია, იონანიძე

XIII ტური

1.12 ს ამერი 2:1
გოლები: გ. ნოდ. ჭელიძე, ჭონატასი

XI ტური

6.12 ს დინამო 0:2

ერიკ რომეო ჩასემი ოჯახთან ერთად

ჩასემის ბედნიერება

ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი შემტევი ბედნიერია - **ერიკ რომეო ჩასემს** თბილისში ცოლ-შვილი ჩამოუვიდა.

ჩასემი „სიონში“ შარშან ზაფხულს მივიდა და მეუღლე და ვაჟი პირველად ესტუმრნენ საქართველოში.

„ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ“, - გვითხრა ჩასემმა და პატარა ჯორჯი ჩაიხუტა, რომელიც ჯერ ორი წლისაც არ არის, მაგრამ ბურთს ფეხს უკვე მარჯვედ უქნევს.

აფრიკელი ფეხბურთელის საქმე ასეა - მთები და ზღვები უნდა გადალახოს, რათა უკეთეს ჯამაგირზე ითამაშოს.

ჩასემი „სიონის“ საუკეთესო თავდამსხმელია და ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატშიც ძალიან ბევრს ჯობია.

„ბოლნისელ გულშემატკივრებს ბედნიერ ახალ წელიწადს ვუსურვებ, კიდევ იმას, რომ „სიონმა“ ყველა თამაში მოიგოს - თუ სურვილია, ასეთი უნდა იყოს“, - ესეც ჩასემის საახალწლო სიტყვა.

„ჩემთვის კი მთავარია, ჯანმრთელად ვიყო, ტრავმა არ მივიღო, რასაც ყველა ფეხბურთელს ვუსურვებ. ვნახოთ, თუ ჯანზე ვიქნები, ვინძლო გაისად უკეთეს გუნდშიც გადავიდე“, - იმედიანადაა ჩასემი.

ის მეტრო დელისთან, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს, მაგრამ სულაც არ ენაღვლება სივიწროვე - მასთან ახლა უკვე ანა-ლინდა და ჯორჯი არიან.

დავით თავართქილაძე



პატარა ჯორჯი

ინტერვიუ ჯაბა მუჯირთან

აგენტმა დონეცკის მეტალურგი შემომთავაზა

ფედერაციის პრეზიდენტს ირანშიც ხელისუფლება ნიშნავს

სეპაჰანელი ჯაბა მუჯირი თბილისში რომ ჩამოვიდა ტრავმის მოსაშუშებლად, ადრეც გაუნყეთ. მან წლეულს მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია - აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში კი „სეპაჰანი“ მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც იაპონურ „ურავასთან“ 1:3 დამარცხდა. ამავე გუნდთან „სეპაჰანმა“ აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალიც წააგო.

ჯაბას გუშინ რომ შევხვდით, ჯერ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მეოთხედფინალში „ურავასთან“ მატჩზე ვკითხეთ.

- კარგად გამოჩნდა, რომ „ურავა“ კლასით ჩვენზე მაღალი დონის გუნდია. თამაში თითქოს ჩვენ მიგვყავდა, მაგრამ იაპონელებმა სამი სახიფათო მომენტი შექმნეს და სამივე გოლად აქციეს.

- როგორც უნდა იყოს, „სეპაჰანმა“ წლეულს საკმაოდ ბევრს მიაღწია...

- აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში აქამდე ოცი წელი არ ეთამაშა ირანულ გუნდს, ხოლო არათეირანულ გუნდს - არასდროს. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მეოთხედფინალში რომ გავიდა, „სეპაჰანმა“ ფიფასგან ერთი მილიონი დოლარი მიიღო, ტურნირზე მონაწილეობისთვის კი პლუს ერთი მილიონი ევრო, ხოლო აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ გავედით, „სეპაჰანს“ 400 000 დოლარი შეხვდა.

- „სეპაჰანი“ ირანში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბია?

- „სეპაჰანი“ ყველა ასპექტით ერთ-ერთი საუკეთესო და სტაბილური კლუბია. ასეთივეა „პერსპოლისიც“, რომელიც ახლა ირანის ჩემპიონატის ლიდერია. ჩვენ თამაშით ნაკლები გვაქვს და მეორე ადგილზე ვართ. არანაკლები ფული სხვა სპარსულ გუნდებსაც აქვთ, მაგრამ ფინანსებით და ამბიციებით „სეპაჰანი“ და „პერსპოლისი“ ყველასგან გამორჩეულები არიან. ჩვენ ყველა ირანული გუნდი ისე გვეთამაშება, რომ ათი კაცით დაცვაში დგას, „სეპაჰანთან“ ერთი ქულის მოპოვებაც კი უკვე მიღწევად ითვლება.

- „სეპაჰანში“ ყველაფერი კარგად მიდის და ამ ეტაპზე იქიდან წასვლას ალბათ არ აპირებ...

- კონტრაქტით „სეპაჰანში“ კიდევ ერთი წელი უნდა ვიყო და მერე კიდევ ერთი სეზონი, მაგრამ თუ ერთი წლის შემდეგ სხვაგან მომინდება წასვლა, კლუბი უსასყიდლოდ გამიშვებს.

- ანუ უკვე ფიქრობ „სეპაჰანიდან“ წასვლაზე?

- ერთმა აგენტმა, რომელსაც კავშირები აქვს აღმოსავლეთ ევროპაში, შემომთავაზა, დონეცკის „მეტალურგში“ მიგიყვანო. დონეცკელები იანვარში ანთალიაში ჩადიან შეკრებაზე და შენც იქ თუ შეუერთდები გუნდს ერთი კვირით, გაგიცნობენ და ალბათ კონტრაქტსაც შემოგთავაზებენო.

- და ახლა დრო ითხოვე გადაწყვეტილების მისაღებად?

- „სეპაჰანის“ მწვრთნელი ლუკა ბონაჩიჩი მძიმე ტრავმის დროს სულ გვერდში მედგა და ახლა რომ წავიდე გუნდიდან, არ იქნება კარგი საქციელი. ბონაჩიჩმა მთხოვა, სეზონის ბოლომდე დარჩი. თუმცა ისიცაა, რომ თვითონ ბონაჩიჩს აქვს შემოთავაზებები იაპონიიდან და საუდეთიდან.

- მაგრამ, ბონაჩიჩს ჯერ არ უნდა „სეპაჰანიდან“ წასვლა?

- მას უნდა წასვლა, მაგრამ ჯერ გარკვეული არაფერია. თუ ბონაჩიჩი დატოვებს „სეპაჰანს“, მეც ვიფიქრებ გუნდის გამოცვლაზე.

- ირანის უმაღლეს ლიგაში კიდევ ერთი ქართველი თამაშობს - აქვსენტი გილაურის „ფეგა“ ბოლო ადგილზეა...

- „ფეგაში“ ფინანსურად ნორმალური სიტუაციაა, მაგრამ გუნდს გოლის გატანა ძალიან უჭირს - საგოლე მომენტებს უხვად ქმნის, თუმცა ბურთი ვერ გააქვს.

- სპარსულ ფეხბურთში ახლა უფრო მეტი ინვესტიციები მიდის თუ ეს პროცესი ერთ ადგილას გაჩერდა?

- „სეპაჰანმა“ ასეთ ნარმატებებს რომ მიაღწია, სერიოზულად დადგა კლუბისთვის უფრო მეტი ფულის გამოყოფის საკითხი. „სეპაჰანს“ მეტალურგიული ქარხანა აფინანსებს, რომელსაც ერთ-ერთი ოფისი იტალიაშიც აქვს. გეცოდინებათ, იტალიურ ნორჩაში საფეხბურთო ბაზაა, სადაც რამდენჯერმე ქართული კლუბებიც იყვნენ შეკრებაზე. გადაწყდა, „სეპაჰანისთვის“ ნორჩას მსგავს ბაზას ააშენებენ. ამას წინათ კლუბის კრება იყო, რომელზეც ირანის პარლამენტის ისპაჰანელი მაჟორიტარი დეპუტატიც მიიწვიეს და უთხრეს, გუნდს ასეთი ნარმატებები აქვს და ახალი სტადიონი უნდა აუშენოთო. მოკლედ, ნარმატებებმა კიდევ უფრო გააღვივა ფეხბურთისადმი ინტერესი ირანში.

ჯაბა მუჯირი

- ირანში ყველა კლუბს სახელმწიფო ქარხანა პატრონობს. ირანის ფეხბურთის ფედერაციაც სახელმწიფოზეა დამოკიდებული?

- ირანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მთავრობა ნიშნავდა, მაგრამ ფიფამ მკაცრად მოითხოვა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა არჩევითი უნდა იყოსო. ჰოდა, ახლა ვითომ არჩევნები უნდა გამართონ - ყველამ იცის, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ირანის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე გახდება.

- ფეხბურთში გავლენის მოსაპოვებლად ირანში არ არის კლანთა დაპირისპირებები?

- როცა შეატყობენ, რომ ძალთა ბალანსი თანაბარი არ არის, მხარეები დინებას მიჰყვებიან - დაპირისპირებები აღარ ხდება.

დავით თავართქილაძე

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL - ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 - ტელეფონის დაფგმა;
CDN 8-66 - კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი - ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN - ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
- უწყვეტი მომსახურება
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ნარჩენი
- გადაიდგა ხაზლიდან გუნდულად

სატელეფონო საუბრების ნამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი. ტრანსფერები

ანელკა და კიდევ ოთხი ფეხბურთელი

გრანტი 50 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებს, აბრამოვიჩი ლოკომოტივთან გარიგებას ითხოვს...

ნიკოლა ანელკასა და დიტმარ ჰამანის ორთაბრძოლა

იანვრის ტრანსფერებისას "ჩელსიმ", შეიძლება, 50 მილიონი გირვანქა დახარჯოს. ამ ინფორმაციას გაზეთი "ინდიპენდენტი" ავრცელებს. **ავრამ გრანტის** უმთავრესი სამიზნეა ბოლტონელი თავდამსხმელი **ნიკოლა ანელკა**. მის გარდა, კიდევ სამი ან ოთხი ფეხბურთელის შეძენა იგეგმება. თუ ყველა გარიგება შედგება, დანახარჯი ნამდვილად მიაღწევს 50 მილიონს. ეს კი იშვიათი შემთხვევაა. როგორც წესი, იანვრის ბაზარზე გრანდიოზულ თანხებს არ ხარჯავენ. პრემიერლიგაში განსაკუთრებული სატრანსფერო ალიაქოთი არ შეინიშნება. სხვა კლუბები მხოლოდ თითო-ოროლა პოზიციის გაძლიერებას აპირებენ. დახარჯული თანხის მოცულობით, "ჩელსის", შეიძლება "მანჩესტერ სიტი" გაეჯიბროს.

ახლა უფრო დეტალურად "არისტოკრატების" სასურველი ფეხბურთელების შესახებ. ანელკა უკვე ვახსენეთ. მის გარდა, ლონდონელები "ინტერის" მარჯვენა მცველს **დუგლას მაიკონსა** და "სევილიის" მარჯვენა მცველ **დანიელ ალვეშს** აკვირდებიან. "ჩელსის" ალვეშის შეძენა ზაფხულშიც სურდა. ფეხბურთელთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობა. შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ ის ანდალუსიურმა კლუბმა ჩაშალა. ბრაზილიელი ფეხბურთელი აჯანყდა და თამაშზე უარი განაცხადა. ის გუნდში **ანტონიო პუერტას** გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა. თუ ლონდონელები დანიელ ალვეშს შეიძენენ, მაიკონის საკითხი ავტომატურად მოიხსნება დღის წესრიგიდან.

გრანტს ორი ახალგაზრდა ფეხბურთელიც აინტერესებს. მას ხორვატი **ლუკა მოდრიჩისა** და ესპანელი **ტიაგო ალკანტარას** შეძენა სურს. მოდრიჩის ტრანსფერზე განუწყვეტლივ საუბრობენ. "ჩელსის" გარდა, ამ ბიჭს სხვა არა ერთი სარფიანი შეთავაზება აქვს. გარიგებას მისი ფასი აბრკოლებს. ზაგრების "დინამო" 17 მილიონ გირვანქას ითხოვს. რაც შეეხება ტიაგოს, 16 წლის ყმაწვილი "ბარსელონის" ახალგაზრდული გუნდის წევრია, მაგრამ კლუბთან პროფესიული კონტრაქტი ჯერაც არ აქვს გაფორმებული. ეს გარემოება ტრანსფერს ძალიან აიოლებს. წარმოშობით ტიაგო ალკანტარა ბრაზილიელია. ის 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, **მაზინიოს** შვილია. მამისაგან განსხვავებით, შვილმა ესპანეთის სახელით გადაწყვიტა ასპარეზობა. ის ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრების წევრია.

აფრიკის თასის ჩელსის კიდევ უფრო ბევრი ფეხბურთელი გამოაკლდება. ნაკრებებში გაემგზავრებიან **დიდიე დროგბა** (კოტ დივუარი), **მიკაელ ესიენი** (განა), **ჯონ ობი მიკელი** (ნიგერია) და **სალომონ კალუ** (კოტ დივუარი). თუ ამას ტრავმებსაც დავუმატებთ, ნათელი გახდება, რატომაა საჭირო არისტოკრატებისათვის შემადგენლობის საგრძნობლად გადახალისება.

"ჩელსის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "არისტოკრატებმა" მადრიდის "ატლეტიკოში" გაშვებული **მანიშეს** დაბრუნებაზე დაიწყეს ფიქრი. პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამიტომ იანვრის ტრანსფერებისას აგენტებს ახალი სამსახურის მოძებნა დაავალა. ცნობას "ჩელსის" დაინტერესების შესახებ, გაზეთი ასი ავრცელებს.

და ბოლოს, რომამ აბრამოვიჩი ისევ მწვრთნელის საქმეებში ცდილობს ცხვირის ჩაყოფას. მან გრანტს მოსკოვის "ლოკომოტივის" ორი ფეხბურთელის, **დინიარ ბილიალეტდინოვისა** და **ბრანისლავ ივანოვიჩის** შეძენა შესთავაზა. "ინდიპენდენტის" ცნობით, ლონდონელები ეს ორი გარიგება 20 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. ივანოვიჩი სერბი ფეხბურთელია. მის რამდენიმე მატჩს მანჩესტერ იუნაიტედის ემისრებიც დაესწრნენ.

როლანდო ბიანკი

მოსალოდნელი ტრანსფერი

როლანდო ბიანკი ჩემოდნებს ალაგებს

მანჩესტერ სიტის თავდამსხმელმა შინ დაბრუნება და ნაკრებში თამაში გადაწყვიტა...

რონალდო ბიანკი "მანჩესტერ სიტიდან" წასვლას აპირებს. იტალიელი თავდამსხმელი ამბობს, რომ ინგლისთან შეგუება ძალიან გაუჭირდა. ერთი ხანობა, მას საერთოდ არ ათამაშებდნენ, მაგრამ ბოლო ოთხი მატჩი ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა. ფეხბურთელმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ის "სიტიში" გასულ ზაფხულს გადავიდა. "რეჯინამ" კომპენსაციის სახით 8.8 მილიონი გირვანქა მიიღო. ბიანკი იტალიის შარშანდელი ჩემპიონატის აღმოჩენად იქცა. მან სეზონი 18 გოლით დაასრულა და არა ერთი კლუბის ყურადღება მიიპყრო. მისი "სიტიში" გადასვლა მოულოდნელი გახლდათ. ბიანკის ხელში ჩაგდებას იტალიური გრანდები ცდილობდნენ, მაგრამ კალაბრიელებს და უშუალოდ ფეხბურთელს ყველაზე მეტი ფული მანჩესტერელებმა შესთავაზეს. გარიგება თვალის დახამხამებაში შედგა. ექვსი თვის შემდეგ ბიანკი სამსახურის შეცვლაზე ფიქრობს. *"მალე ბარგს შევკრავ. მე ძალიან ამბიციური ვარ და მინდა, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გავხდე. ჩემი ოცნებაა იტალიის ნაკრებში დამკვიდრება. ვფიქრობ, ნაკრებში იმიტომ არ მიძახებენ, რომ უცხოეთში ვთამაშობ. ეროვნული გუნდი ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც იტალიაში დაბრუნება მსურს. იმედია, ეს მალე მოხდება. გასულ ზაფხულს "ფიორენტინა" მიწვევდა. ფლორენციისაგან ერთი ნაბიჯიღა მაშორებდა. ჩემზარე პრანდელი ჩინებული მწვრთნელია. მასთან სიამოვნებით ვიმუშავებდი. რა თქმა უნდა, არც სხვა კლუბების შეთავაზებაზე ვიტყოდი უარს. "მილანში", "იუვენტუსში", "ნაპოლისა" და "რომაშიც" სიმოვნებით ვითამაშებდი."* ბიანკიმ შემთხვევით ისარგებლა და თანაგუნდელებსაც გაჰკრა კბილი. როლანდო თვალებს არ უჯერებს, როცა ხედავს, რა რაოდენობით ალკოჰოლს მირთმევენ მისი კოლეგები: *"მგონი, მე ერთადერთი ფეხბურთელი ვარ მთელ პრემიერლიგაში, რომელიც სასმელს არ ეტანება. არ დამავიწყდება მათი განცვიფრებული სახეები, როცა ერთ-ერთ ბარში ლუდის კათა მომიტანეს, მე კი თავაზიანი უარი განვაცხადე. ისე შემომხედეს, თითქოს უცხოპლანეტელი ვყოფილიყავი. ყველას თავის გემოვნება აქვს. მე ალკოჰოლს საერთოდ არ ვეტანები."*



არსენ ვენგერმა ლემანის შემცვლელი ქვედა დივიზიონში მიაგნო

არსენალი

მიულერი ლემანის ნაცვლად?

დიარა სამი მილიონი ლირს

არსენ ვენგერმა "ბანსლის" მეკარეს **ჰაინც მიულერს** დაადგა თვალი. ფეხბურთელი 29 წლისაა. ის ინგლისში გასულ ზაფხულს, ნორვეგიელი "ლილესტრიომიდან" გადავიდა. "ბარნსლიმ" ტრანსფერის სანაცვლოდ რამდენიმე ასეული ათასი გირვანქა გადაიხადა. დღეს ის კომპენსაციის სახით 1 მილიონს ითხოვს. მიულერმა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა. "არსენალის" გარდა, მან "ლივერპულის", "ევერტონისა" და "ასტონ ვილის" ყურადღებაც მიიპყრო. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"არსენალის" ფრანგი მცველი **ლასანა დიარა** სარფიანი შეთავაზებების განსახილველად მზადაა. "მეთოფეები" მას 3 მილიონად აფასებენ. აგვისტოს ტრანსფერებისას "არსენალმა" ფეხბურთელში ერთი მილიონით ნაკლები გადაიხადა. დიარამ "მეთოფეებს" ბევრი ვერაფერი სამსახური გაუწია. იქნებ ახლა 1 მილიონი მაინც აშოვნინოს. გასულ სეზონში 22 წლის ფეხბურთელი "ჩელსიში" ასპარეზობდა იცავდა. ის სათამაშო დროის ნაკლებობას უჩიოდა და "არსენალს" ამ პრობლემის გადასაწყვეტად მიაშურა. ლასანას იმედები არ გამართლდა. ტრანსფერიდან ექვსი თვის შემდეგ ის ისევ ახალ სამსახურს ეძებს.

რეალი. ტრასფერები

ბენ არფა და ბენზემა მადრიდელთა სამიზნეში

ჰატემ ბენ არფამ სამეფო კლუბის ყურადღება მიიპყრო

მადრიდის "რეალი" "ლიონის" ახალგაზრდა ვარსკვლავებს, **ჰატემ ბენ არფასა** და **კარიმ ბენზემას** ეპატიჟება. სამეფო კლუბმა ამ ბიჭებზე დაკვირვება ფრანგ სკაუტს, **ჟულიენ ლოპეტეგის** დაავალა. ეს უკანასკნელი "ოლიმპიკის" თითქმის ყველა შეხვედრას დაესწრო და ყმაწვილებს ჩინებული რეკომენდაციაც გაუწია. ესპანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ გარიგება გაისად ზაფხულში შედგება. ბენ არფას შეძენა უფრო პრიორიტეტულია. ამ ფეხბურთელის აგენტია **ფრედერიკ გუერა**. გუერას სამეფო კლუბთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. მან "რეალში" მალელი **მაჰამადუ დიარა** ჩაიყვანა და სხვათა შორის, იმავე "ლიონიდან". მადრიდელებს იმედი აქვთ, რომ ბენ არფას ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე დაიბევებენ. ჰატემი საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელია და სავარაუდოდ, ავსტრიასა და შვეიცარიაში გაემგზავრება.

ამასობაში, "რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა რუუდ ვან ნისტელროის** პირადად ალუთქვა კონტრაქტის გაგრძელება. "ბარსელონასთან" სუპერკლასიკოს შემდეგ, თვითმფრინავში, ის ფეხბურთელს გვერდით მიუჯდა და დიდხანს ელაპარაკა. გაზეთ "ასის" მიმომხილველმა მათ დიალოგს მოკრა ყურა. კალდერონი: *"რუუდ, როგორა ხარ? მინდა, გითხრა, რომ კონტრაქტის გამო შეგიძლია, არ ინერვიულო. ამ საკითხს პირადად მე მივხედავ. როგორც კი არადეგებიდან დაბრუნდები, დავსხდებით და ყველაფერს მოვილაპარაკებთ. ჩვენ კმაყოფილი ვართ შენი თამაშით და საქმისადმი დამოკიდებულებით. შენ ახალი კონტრაქტს იმსახურებ."* ვან ნისტელროი: *"გმადლობთ, პრეზიდენტო. კეთილი, იანვარში დავილაპარაკოთ."*

ვინ შეცვლის რაიკაარდს?

გაზეთი "ასი" იუწყება, რომ თუ **ფრანკ რაიკაარდი** "ბარსელონიდან" წავა, მის ადგილს თანაქალაქელი "ესპანიოლის" დამრიგებელი, **ერნესტო ბალბერდე** დაიკავებს. ტაბლოიდის ცნობით, ბალბერდეს კანდიდატურას მხარს უჭერს **იოჰან კრუიფი**, რომელიც კატალონიელთა არაოფიციალური მრჩეველია. პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** "მფრინავი ჰოლანდიელის" რეკომენდაციების ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება. სხვა პრეტენდენტები არიან ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი** და "ბარსელონის" დუბლშემადგენლობის დამრიგებელი, ლეგენდარული **ხოსეპ გუარდიოლა**.

იუვენტუსი 40 მილიონს ამზადებს

"იუვენტუსი" შემადგენლობის გასაძლიერებლად 40 მილიონ გირვანქას დახარჯავს. ამ ინფორმაციას გაძეტა დელო სპორტი ავრცელებს. "ბებერი ქალბატონი" მომავალი სეზონისათვის ემზადება. ნლევანდელისაგან განსხვავებით, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ლიგას განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. ორ ფრონტზე წარმატების მისაღწევად, თანაბარი ძალის ორი შემადგენლობაა საჭირო. "გაძეტა" "იუვეს" სატრანსფერო სიას აქვეყნებს. მასში არიან: **კრისტიან საპატა** (უდინეზე), **ანდრეა ბანძალი** (პალერმო), **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ჰამბურგი), **კლაას იან ჰუნტელაარი** (აიაქსი) და **ამაური** (პალერმო). "ქალბატონის" წარმომადგენლებს სპეკულაციებთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სოლ კემპბელი ტოტენჰემში ბრუნდება?

სოლ კემპბელი, შეიძლება, "ტოტენჰემში" დაბრუნდეს. ეს მოულოდნელი ინფორმაცია ჟურნალ "თაიმსში" ამოვიკითხეთ. "მამლების" თავკაცი ხუანდე რამოსი გამოცდილ ცენტრალურ მცველს ეძებს. კემპბელი ერთ-ერთი კანდიდატია. სოლმა პროფესიული კარიერა 1992 წელს "ტოტენჰემში" დაიწყო. 2001 წელს კი მშობლიური კლუბის მოსისხლე მტერს, "არსენალს". მან "არსენალში" ხუთი სეზონი გაატარა. ფეხბურთელმა "მეთოფეებთან" კონტრაქტი არ გააგრძელა. ის უცხოეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ მოულოდნელად "პორტსმუთში" აღმოჩნდა. კემპბელი 33 წლისაა. ის შთამბეჭდავად თამაშობს. ამის დასტური იყო ხანდაზმული ფეხბურთელის ნაკრებში დაბრუნებაც. მაგრამ საკითხავია, მიიღებენ თუ არა "ტოტენჰემის" გულშემატკივრები ის ადამიანს, რომელსაც 2001 წლსი შემდეგ მხოლოდ ერთი ეპითეტით მოიხსენიებენ: იუდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 იანვარი: დაისლერი წავიდა!

31 იანვარი: ული ჰაინესმა ოტმარ ჰიტცფელდი წარადგინა

7 ივნისი: ლუკა ტონის და ფრანკ რიბერის პრეზენტაცია

რეკორდმაისტერი

ბაიერნის 2007 წელი

მიუნხენის „ბაიერნისთვის“ 2007 წელი გარდამტეხი გამოდგა. ეს იყო წელიწადი, როცა ბავარიულმა გიგანტმა არსებობის მანძილზე ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე პირველად დახარჯა დაახლოებით 70 მილიონი ევრო. ეს წელიწადი ბავარიული გიგანტისთვის მძიმე შემთხვევით დაიწყო – იანვარში სებასტიან დაისლერმა ნაადრევად დაასრულა კარიერა. გაგრძელდა მოულოდნელი ცვლილებით: ფელიქს მაგათის გათავისუფლებით და გუნდში ოტმარ ჰიტცფელდის დაბრუნებით. ამას მოჰყვა ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა და შესაბამისი რეაგირება: რეკორდმაისტერის შეფებმა სხვებთან ერთად ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი და მიროსლავ კლოზე შეიძინეს. აღარც არავის გაჰკვირვებია, რომ „ბაიერნმა“ მიმდინარე სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ წლის ბოლოს პრობლემებმა ისევ იჩინეს თავი. მოკლედ, მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი თუ რა და როგორ იყო „ბაიერნში“ 2007 წელს.

3 იანვარი: აახენის „ალემანიის“ თავდამსხმელმა **იან შლაუდრაფმა** „ბაიერნთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, რითაც თავისი ბედი გერმანიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს 3 წლით, 2010 წლის 30 ივნისამდე დაუკავშირა.

16 იანვარი: **სებასტიან დაისლერმა** 27 წლის ასაკში ყველასათვის მოულოდნელად ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა და ფეხბურთიდან წავიდა.

31 იანვარი: მენეჯერმა **ული ჰაინესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** პოსტიდან გაათავისუფლეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ბაიერნმა“ ბუნდესლიგის მეორე წრე დორტმუნდში მარცხით (2:3) და „ბოხუმთან“ უგოლო ფრით დაიწყო. მაგათის შემცვლელი **ოტმარ ჰიტცფელდი** გახდა.

2 თებერვალი: ჰიტცფელდის სადებიუტო შეხვედრაში „ბაიერნმა“ „ნიურნბერგთან“ სამარცხვინო მარცხი განიცადა – 0:3. *„ახლა უკვე ვიცი, რომ ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს,“* – განაცხადა მატჩის შემდეგ ჰიტცფელდმა.

14 თებერვალი: „ბაიერნი“ „შალკეს“ თურქ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** შეუთანხმდა. გადაწყდა, რომ ეს უკანასკნელი ზაფხულში მიუნხენს უფასოდ მიაშურებს (ჰამითს „შალკესთან“ კონტრაქტი უმთავრდება).

28 თებერვალი: „ბაიერნმა“ მომდევნო სეზონისთვის კიდევ ერთი, ამჯერად საკმაოდ ძვირადღირებული ტრანსფერი სრულყო. გადაწყდა, რომ არგენტინული „ესტუდიანტესის“ გამთამაშებელი **ხოსე ერნესტო სოსა** ზაფხულში FCB-ს ფეხბურთელი გახდება. საუბარია დაახლოებით 10 მილიონ ევროზე.

7 მარტი: „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან მადრიდის „რეალი“ გააგდო! სტუმრად იღბლიანი 2:3-ის შემდეგ, რომელიც დიდი შანსი იყო, 1:5 დამთავრებულიყო, ჰიტცფელდის შეგირდებმა საკუთარ „ალიანს არენაზე“ „სამეფო გუნდს“ 2:1 მოუგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

15 მარტი: კლუბის ხელმძღვანელები ჰიტცფელდს კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებაზე შეუთანხმდნენ. ამრიგად, გაირკვა, რომ „ბაიერნს“ მომდევნო სეზონშიც (2008 წლის 30 ივნისამდე) „გენერალი“ უთავკაცებს.

3 აპრილი: ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის გასვლით მატჩში (მილანთან 2:2) „ბაიერნის“ მარჯვენა მცველმა **ვილი სანიოლმა** უმძიმესი ტრავმა მიიღო. ფრანგი 7 თვე დაისვენებს!

11 აპრილი: „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა - ჰიტცფელდის ბიჭებმა სტუმრად მიღწეული ფრის შემდეგ (2:2), საკუთარ მოედანზე ტურნირის მომავალ გამარჯვებულ „მილანთან“ 0:2 წააგეს.

21 აპრილი: რეკორდმაისტერი შტუტგარტში 0:2 დამარცხდა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბავარიელები გერმანიის ჩემპიონის ტიტულს ვეღარ შეინარჩუნებენ. ამასთან, რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ გადის.

19 მაისი: **მეჰმეთ შოლის** უკანასკნელი ოფიციალური მატჩი „ბაიერნის“ რიგებში – ვეტერანი ნახევარმცველი კარიერას ამთავრებს. ეს გახლდათ მატჩი „მაინცთან“, რომელიც ბავარიელებმა 5:2 მოიგეს. შოლისთვის ეს 392-ე ბუნდესლიგური შეხვედრა იყო, სადაც მან თავისი უკანასკნელი, 98-ე გოლი გაიტანა. შოლთან ერთად ბავარიულ გრანდს **ჰასან „ბრაცო“ სალიჰამიჯიჩიც** ემშვიდობება. ოლონდ ბოსნიელი კარიერას არ ასრულებს – ის ტურინის „იუვენტუსში“ გადადის.

30 მაისი: გადაწყდა, რომ „ბაიერნის“ ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივსი** „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავა. რეკორდმაისტერი მის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს მიიღებს.

7 ივნისი: გრანდიოზული პრეზენტაცია სასტუმრო „არაბელა შერატონში“: „ბაიერნმა“ მსოფლიოს ჩემპიონი **ლუკა ტონი** (11 მილიონი, „ფიორენტინადან“) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ფრანკ რიბერი** (25 მილიონი, „მარსელიდან“) წარადგინა. რიბერი ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა.

26 ივნისი: კიდევ ერთი გრანდიოზული ტრანსფერი: „ვერდერისა“ და გერმანიის ნაკრების გოლეადორი **მიროსლავ კლოზე** კარიერას „ბაიერნში“ გაგრძელებს. მისი ფასი 15 მილიონი ევროა. ამასთან ერთად გაირკვა ისიც, რომ „ბაიერნში“ ბრუნდება ბრაზილიელი **ზე რობერტო** (სან პაულოდან).

1 ივლისი: ახალი სეზონის პირველი ამხანაგური მატჩი: „ბაიერნი“ ჰონგ კონგში ბრაზილიურ „სან პაულოს“ 2:1-ს ამარცხებს. გოლები კლოზეს და **ალთინთოფის** ანგარიშზეა.

28 ივლისი: **როკე სანტა კრუსი** „ბაიერნს“ ტოვებს და „ბლექბერნში“ გადადის. „ბაიერნი“ კი, ლიგის თასის ფინალში „შალკეს“ ამარცხებს (1:0).

6 აგვისტო: პირველი მძიმე მატჩი და ისიც მესამეხარისხოვან „ბურგჰაუზენთან“ გერმანიის თასის პირველ ეტაპზე. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა (გოლი: კლოზე), რეკორდმაისტერმა „ბურგჰაუზენი“ პენალტების სერიაში დაამარცხა.

11 აგვისტო: გამოჯანმრთელებულ **ლუკა ტონის** მხოლოდ 13 წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ „ბაიერნში“ პირველი გოლი გაეტანა. ეს გახლდათ ბუნდესლიგის პირველი ტური, რომელშიც ბავარიელებმა როსტოკის „ჰანზა“ 3:0 დაამარცხეს. ამასთან ეს იყო „ბაიერნის“ 1900-ე გოლი საკუთარ მოედანზე.

15 აგვისტო: მეჰმეთ შოლის გამოსათხოვარი მატჩი „ბარსელონასთან“. შოლთან ერთად „ბაიერნის“ ქომაგებს **როი მაკაიც** დაემშვიდობა, რომელმაც როტერდამის „ფეიენოორდს“ მიაშურა.

18 აგვისტო: „ბაიერნი“ ბრემენის „ვერდერს“ 4:0-ს ანადგურებს.

25 აგვისტო: 3:0 „ჰანოვერთან“ – ეს ჰიტცფელდის სამწვრთნელო კარიერაში რიგით 250-ე გამარჯვებაა.

2 სექტემბერი: გერმანიის 17 წლამდელთა ნაკრები სამხრეთ კორეაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. "ბაიერნის" ტალანტი **ტონი კროოსი** 17 წლამდელთა მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

3 სექტემბერი: 1:1 ჰამბურგში – კლოზემ ბუნდესლიგაში მე-100 გოლი გაიტანა.

16 სექტემბერი: 1:1 „შალკესთან“ – „ბაიერნი“ მოგებას ვეღარ ახერხებს, ჰიტცფელდი მცირე კრისზე საუბრობს.

1 ოქტომბერი: **ოლივერ კანმა** ოპერაცია გაიკეთა და „ბაიერნს“ 5 კვირის განმავლობაში ვეღარ დაეხმარება.

8 ოქტომბერი: „ნიურნბერგის“ დამარცხების შემდეგ (3:0), „ბაიერნი“ „შალკეს“ 7 ქულით უსწრებს, „ვერდერს“ 6-ით, ხოლო „კარლსრუეს“ კი 5-ით.

20 ოქტომბერი: მენეჯერი ული ჰაინესი: *„დარწმუნებული ვარ, რომ ჰიტცფელდი ჩვენთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და „ბაიერნს“ მომდევნო სეზონშიც უხელმძღვანელებს.“* მაგრამ ჰიტცფელდი სხვა აზრისაა, ის პირველად ამბობს, რომ გადაწყვეტილი არაფერია და ამხელს, რომ შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ.

3 ნოემბერი: 0:0 ფრანკფურტის „აინტრახტთან“ – არადა, „ბაიერნი“ უდიდეს უპირატესობას ფლობდა – დარტყმა: 38-5, ჩაწოდება: 34-3, ბურთის ფლობა 63%-37%.

8 ნოემბერი: უეფას თასზე, „ბოლტონთან“ ფრის შემდეგ რუმენიგემ ჰიტცფელდი გააკრიტიკა: *„ფეხბურთი მათემატიკა არ არის!“* ყველამ იცის, რომ ოტმარი მათემატიკოსია. კრიზისისა და კრიტიკის დასაწყისი...

10 ნოემბერი: სეზონის პირველი მარცხი – 1:3 შტუტგარტში. ჰიტცფელდი: *„სერიოზული პრობლემა გვაქვს!“*

12 ნოემბერი: წლის საერთო გუნდური კრება, სადაც ჰაინესი წყობიდან გამოვიდა და „ბაიერნის“ გულშემატკივართა გარკვეულ ნაწილს შეურაცხყოფა მიაყენა. სამაგიეროდ, კრებაზე გაცხადდა, რომ „ბაიერნის“ ბიუჯეტმა 225.8 მილიონი ევრო შეადგინა, რაც რეკორდმაისტერისთვის მორიგი რეკორდია. მოგებამ კი 18.9 მილიონი ევრო შეადგინა და ეს მიუხედავად იმ ძვირადღირებული ტრანსფერებისა, რაც „ბაიერნმა“ ზაფხულში განახორციელა.

5 დეკემბერი: გადაწყდა, რომ ზამთარში **ვალერიან ისმაელი** „ჰანოვერში“ გადავა.

8 დეკემბერი: 0:0 აუტსაიდერ „დუისბურგთან“ – ეს უკვე სერიოზული წაფორხილებაა.

15 დეკემბერი: ისევ 0:0, ამჯერად ბერლინში. „ბაიერნი“ შემოდგომის ჩემპიონია, მაგრამ „ვერდერს“ მხოლოდ და მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. მატჩის წინ ჰიტცფელდმა კანი დასაჯა – განაცხადში არ შეიყვანა. მიზეზი ისაა, რომ ოლი ჩარჩოებს გასცდა, რიბერი და ტონი გააკრიტიკა, მერე კი წინასაშობაო ზეიმიდან ნაადრევად წამოვიდა.

20 დეკემბერი: 2007 წლის ბოლო შეხვედრა, „ბაიერნი“ წელიწადს მაყურულ ნოტაზე ასრულებს: 6:0 სალონიკის „არისთან“ (ტონიმ პოკერი შეასრულა), რეკორდმაისტერი უეფას თასის 1/16 ფინალში გავიდა. ჰიტცფელდი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მიანიშნებს, რომ ეს მისი ბოლო სეზონია „ბაიერნში“.

გოტფრიდ ლენცი

ვერდერის ახალგაზრდა ვარსკვლავები: **სებასტიან ბოენიში (20), კევინ შინდლერი (19) და მარტინ ჰარნიკი (20)**

ბუნდესლიგა

ახალგაზრდა მუსიკოსები

გერმანულმა „კიკერმა“ საინტერესო რეიტინგი გამოაქვეყნა – რეიტინგი, სადაც გუნდები საშუალო ასაკის მიხედვითაა დალაგებული. ასეთი რეიტინგის გამოქვეყნება ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, მაგრამ უშუალოდ ეს რეიტინგი იმითაა საინტერესო, რომ შეჯამებულია მხოლოდ იმ ფეხბურთელების ასაკი, რომლებმაც მიმდინარე სეზონში ითამაშეს. საკმაოდ საინტერესო ფაქტია ის, რომ პირველი წრის საუკეთესო ხუთეულიდან, სამ გუნდს ბუნდესლიგაში ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივი ჰყავს. ესენია: „ვერდერი“, „შალკე“ და „ლევერკუზენი“. ყველაზე ასაკოვანი გუნდი კი „კოტბუსს“ და ბილეფელდის „არმინიას“ ჰყავთ.

ყველაზე ახალგაზრდა გუნდი „ვერდერს“ ჰყავს – „მუსიკოსთა“ რიგებში მოთამაშე იმ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი, რომლებმაც პირველ წრეში ითამაშეს 24.95 წელია. ბრემენულ კლუბში ამ მხრივ **პერ მერტეზაკერი** (23 წლის), **დუშკო ტოშიჩი** (22) და **დიეგო** (22) გამოირჩევიან. ამასთან, „ვერდერს“ ძალიან ახალგაზრდა თავდასხმა ჰყავს, სადაც ყველაზე ასაკოვანი 27 წლის **ივან კლასნიჩია**, ყველაზე ახალგაზრდა კი 19 წლის **კევინ შინდლერი**.

რეიტინგში „ვერდერს“ „შალკე“ მოსდევს, რომელიც ძალიან ცოტათი უსწრებს „ლევერკუზენს“ – თავად განსაჯეთ, გელზენკირხენელი კლუბის მონაცემი 25.36 წელი გახლავთ, „ლევერკუზენისა“ კი 25.38 წელი. **ლევან კობიაშვილის** გუნდში ყველაზე უმცროსი **მესუთ იოზილია**, რომელიც 19 წლისა და 2 თვის გახლავთ, ყველაზე უფროსი კი სერბი მცველი **მლადენ კრსტაიჩი** (33). ის, რომ ამ მხრივ „ლევერკუზენმა“ „შალკეს“ ვერ აჯობა, 36 წლის **სერგეი ბარბარესის** „დამსახურებაა“. „ბაიერის“ ახალგაზრდა თაობას კი **გონსალო კასტრო, პირმინ შვეგლერი** და **არტურო ვიდალი** (სამივე 20 წლისაა) წარმოადგენენ.

რაც შეეხება ყველაზე ასაკოვან გუნდებს: „არმინიაში“ ყველაზე მოხუცი მეკარე **მათიას ჰაინია**, რომელიც 31 დეკემბერს 35 წლის ხდება, ხოლო „კოტბუსში“ კი 38 წლის **ტომისლავ ჰიპლიცაა** ამ მხრივ ლიდერი.

კლუბი	საშ. ასაკი
ვერდერი	24.95
შალკე	25.36
ლევერკუზენი	25.38
შტუტგარტი	25.53
ჰამბურგი	25.65
ჰანზა	26.07
ჰერტა	26.09
ბოლოდსაურგი	26.29
კარლსრუე	26.52
ბაიერნი	26.60
ნიურნბერგი	26.62
ბორუსია (ლ)	26.84
აინტრახტი	26.89
დუისბურგი	27.09
ჰანოვერი	27.54
ბოხუმი	27.58
არმინია	28.07
კოტბუსი	28.62

ეროვნული ბიბლიოთეკა



როი ჰოჯსონს ფულჰემი ჩააბარეს, ის მუშაობას ორშაბათიდან შეუდგება

დღეს

ბირმინგემი-ფულჰემი
ჩელსი-ნიუკასლი
ევერტონი-არსენალი
პორტსმუთი-მიდლსბრო
სანდერლენდი-ბოლტონი
გრენადა-რედინგი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ
ვიგანი-ასტონ ვილა

ხვალ

დერბი-ბლეკბერნი
მანჩესტერ სიტი-ლივერპული

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტურის წინ

ფულჰემს ახალი მწვრთნელი ჰყავს

სემ ელერდაისის ბედი უახლოეს ათ დღეში გადაწყდება

"ნიუკასლის" თავკაცის **სემ ელერდაისის** ბედი მომდევნო სამ ტურში გადაწყდება. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. თუ კლუბი კრიზისს უმოკლეს დროში არ გადაჭრის, მწვრთნელი უმუშევარი დარჩება. ტოტალიზატორებში ელერდაისის დათხოვნაზე ფსონი უკვე დაბალია - 5/4. დღეს ჯორდები "ჩელსის" ეთამაშებიან. 1 იანვარს მათი მეტოქე "მანჩესტერ სიტი" იქნება. "ნიუკასლს" ახალგაზრდა ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი** დააკლდება. ის არც დაშავებულია და არც დისკვალიფიცირებული. ბარტონს გაცილებით სერიოზული უსიამოვნება შეემთხვა. ის ციხეში მიაბრძანეს. ჯოი ახალ წელს საპყრობილეში შეხვდება. მას 3 იანვარს გაათავისუფლებენ. ფეხბურთელი სიჩქარის გადაჭარბებისათვის დაიჭირეს. ის პირობით სასჯელს იხდიდა. პირობითი სასჯელის პერიოდში ჩადენილი კანონდარღვევა კი დაპატიმრებას უდრის. "ნიუკასლს", შეიძლება, **მაიკლ ოუენი** დაუბრუნდეს. **კლაუდიო კასაპა** და **ნიკი ბატიც** ჯანმრთელად არიან.

ჯორდების მეტოქეს "ჩელსის" უმწვავესი საკადრო პრობლემები აქვს. "არისტოკრატებს" თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობა აკლიათ. **ჯონ ტერი, დიდიე დროგბა** და **ფლორან მალუდა,** დიდი ხანია, მკურნალობენ. "ასტონ ვილასთან" ოთხშაბათის დრამატულ მატჩში **ფრენკ ლემპარდი** დაშავდა. იმავე შეხვედრაში ორი ჩელსელი ფეხბურთელი, **ეშლი კოული** და **რიკარდო კარვალიო** გააძევეს. ლონდონელებმა ინგლისელი მცველის წითელი ბარათი გააპროტესტეს. სააპელაციო კომისიამ გაძევება ძალაში დატოვა. ფეხბურთელს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ის "ნიუკასლთან" დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს. დაისვენებს კარვალიოც. პორტუგალიელი სამი მატჩით ჩამოაშორეს მინდორს. ტრავმა აქვს თადარიგის ორ ფეხბურთელსაც - **კარლო კუდიჩინის** და **კლოდ მაკელელეს**...

ხვალ **სერ ალექს ფერგიუსონს** 66 წელი უსრულდება. საუკეთესო საჩუქარი "ვესტ ჰემის" დამარცხება იქნებოდა. "იუნაიტედის" ძირითადში ითამაშებს **კარლოს ტევესი**. "ეშმაკებმა" ის ზაფხულის ტრანსფერებისას ლონდონელებისაგან შეიძინეს. ოთხშაბათს "მანჩესტერმა" "სანდერლენდს" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. ეს "მენიუს" ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იყო. "იუნაიტედი" პრემიერლიგის ლიდერია. გუნდი უპირატესობის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. სტუმრებს **ედვინ ვან დერ სარი** და **ოუენ ჰარგრივსი** ვერ დაეხმარებიან. გამოჯანმრთელდა **ჟი სუნ პარკი**. მუხლის ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ის განაცხადში შეიყვანეს.

მუხლი მოიშუშა "ვესტ ჰემის" ახალგაზრდა მცველმა **ანტონ ფერდინანდმა**. ის ძირითად შემადგენლობას უმიზნებს. განაცხადშია თავდამსხმელი **კარლტონ კოული**. ვარჯიში განაახლეს **ჟულიენ ფობერმა, მეტიუ ეთერინგტონმა** და **ლი ბოუიერმა,** მაგრამ მინდორზე გასასვლელად ჯერ მზად არ არის...

"არსენალს" "ევერტონთან" რთული მატჩი ელის. ბოლო ტურში "მეთოფეებმა" "პორტსმუთთან" ქულები გაიყვეს. ამით უმალ ისარგებლა "მანჩესტერმა" და ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. **არსენ ვენგერი** "გუდისონ პარკზე" **რობინ ვან პერსის** ვერ ჩაიყვანს. ჰოლანდიელ გარემარხს ბარძაყის კუნთი აწუხებს. კაპიტან **ვილიამ გალასის** თამაში საეჭვოა. გამოჯანმრთელდა **თეო უოლკოტი**. ის განაცხადში იქნება. "არსენალს" 19 ტურის შემდეგ 44 ქულა აქვს. პრემიერლიგის ისტორიაში ეს მისი მეორე საუკეთესო შედეგია. ლონდონელებს 19 ტურში ერთითი მეტი, 45 ქულა მხოლოდ 2003-04 წლების სეზონში ჰქონდათ. მაშინ "არსენალმა" ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და ოქროს მედლები მოიპოვა. დღეს "ევერტონს", შეიძლება, **ფილ ნევილი** ვერ დაეხმაროს. საეჭვოა იჯარით გადაყვანილი ნახევარმცველის, **ტომას გრავესენის** თამაშიც. დაშავებულები არიან **ლეონ ოსმანი, ალან სტაბსი** და **ლეიტონ ბაინესი**.

ხვალ მეხუთე ადგილზე მყოფი "მანჩესტერ სიტი" ერთი ადგილით ზემოთ მოკალათებულ "ლივერპულს" შეხვდება. "ბლეკბერნთან" ხუთშაბათის მატჩამდე "სიტის" ასპროცენტიანი საშინაო მაჩვენებელი ჰქონდა. ორი დღის წინ მანჩესტერელებმა ქულები გაანიავეს (2:2) და ნახევარმცველი **მაიკლ ჯონსონიც** დაუშავდათ. ლივერპულელთა შემადგენლობაში ფინელი მცველის, **სემი ჰიიპიას** ასპარეზობაა საეჭვო. თუ ის ვერ ითამაშებს, **რაფა ბენიტესს დანიელ აგერის** დაყენება მოუხდება. აგერი ეს-ესაა, გამოჯანმრთელდა და ჯერ ხეირიანად არცკი უვარჯიშია. არის კიდევ ერთი ვარიანტი: ბენიტესმა სარეზერვო გუნდის ცენტრალურ მცველ **ჯეკ ჰობსს** უხმოს. მერსისაიდელებს **პიტერ კრაუჩიც** ვერ დაეხმარებათ. აყლაყუდა თავდამსხმელი დისკვალიფიცირებულია.

და კიდევ, "ფულჰემი" ახალ წელს ახალი მწვრთნელით ხვდება. გუშინ ლონდონელებმა ვეტერან **როი ჰოჯსონს** გაუფორმეს კონტრაქტი. ერთი თვის წინ ჰოჯსონი ფინეთის ნაკრებს გამოეთხოვა. "ფულჰემთან" გაფორმებული კონტრაქტის დეტალები უცნობია. მიმოხილველთა ვარაუდით, მწვრთნელი "ქრევენ კოტიჯზე" სეზონის ბოლომდე დარჩება. მისი უმთავრესი ამოცანა პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. დღეს "ფულჰემი" "ბირმინგემს" ესტუმრება. ჰოჯსონი თამაშს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. ის საქმე მომავალი კვირიდან შეუდგება. 1 იანვარს, სადებიუტო მატჩში ჰოჯსონის მეტოქე "ჩელსი" იქნება. ამ სპეციალისტმა სახელი უცხოეთში მუშაობით გაითქვა. მან შვეიცარიის ნაკრები 1994 წლის მუნდიალზე და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა. 1996 წელს ის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი გახდა და პირველსავე სეზონში უეფას თასი მოიპოვა. ინგლისში ჰოჯსონის უკანასკნელი სამუშაო "ბლეკბერნის" დამრიგებლობა იყო (1997-98).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერ იუნ.	19	14	3	2	36-9	45
2. არსენალი	19	13	5	1	36-15	44
3. ჩელსი	19	11	5	3	29-14	38
4. ლივერპული	18	10	6	2	33-12	36
5. მანჩესტერ სიტი	19	10	5	4	27-22	35
6. პორტსმუთი	19	8	7	4	29-19	31
7. ევერტონი	19	10	3	6	34-18	33
8. ასტონ ვილა	19	8	6	5	33-25	30
9. ბლეკბერნი	19	7	6	6	25-27	27
10. ვესტ ჰემი	18	7	5	6	23-16	26
11. ნიუკასლი	19	7	5	7	26-29	26
12. რედინგი	19	6	4	9	25-36	22
13. ტოტენჰემი	19	5	6	8	35-32	21
14. ბირმინგემი	19	5	3	11	21-30	18
15. ბოლტონი	19	4	5	10	21-29	17
16. მიდლსბრო	19	4	5	10	17-33	17
17. ვიგანი	19	4	4	11	19-34	16
18. ფულჰემი	19	2	8	9	20-34	14
19. სანდერლენდი	19	3	5	11	17-38	14
20. დერბი	19	1	4	14	9-43	7

ბუნდესლიგა. დეკემბრის საუკეთესო ფეხბურთელი

ვერდერის ანგელოზი

დიეგო ბრემენიდან გაფრენას ჯერ არ აპირებს!

ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელს ჩვენი გერმანელი კოლეგები შობა-ახალი წლის არდადეგების დასრულების შემდეგ დაასახელებენ, მაგრამ ფავორიტთა ვინაობა ამთავითვე ცნობილია. გერმანიის ჩემპიონატის პირველ ნახევარში ყველაზე გამორჩეულები ჰამბურგელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, ბრემენელი **დიეგო**, ბაიერნელი **ფრანკ რიბერი**, ლევერკუზენელი **სიმონ როლფესი**, კიდევ ერთი ბაიერნელი **ლუკა ტონი**, შალკელი **მარსელო ბორდონი** და კარლსრუელი **ტამაშ ჰაინალი** იყვნენ. უმთავრესი ფავორიტები კი ვან დერ ვაარტი და დიეგო არიან. დღეს ამ უკანასკნელზე ვწერთ, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი წრის მეორე ნახევარი სწორედ დიეგოსი იყო, რომელმაც „ვერდერის" ქომაგები ტრადიციულად იდეალური პასებითა და შესანიშნავი დრიბლინგებით აღაფრთოვანა, რისთვისაც გახდა კიდეც დეკემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელი ბუნდესლიგაში. ეს სტატუსი მას (აგერ უკვე მერამდენედ) გამოკითხულმა გულშემატკივრებმა მიანიჭეს.

თვის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოები „ვერდერის" გამთამაშებელს მისაღებ ოთახში, საპატიო ადგილზე უწყვია და ყოველ სტუმართან თავს იწონებს ხოლმე. თვითონ ფეხბურთელი ამ ჯილდოს ბუნდესლიგის ოსკარს უწოდებს. *„ჩემთვის ეს ჯილდო ყველაზე საპატიო და საყვარელია, რადგან თვის საუკეთესო ფეხბურთელს ფანები ავლენენ. მე კი სწორედ ფანებისთვის ვთამაშობ,"* – შეფასებისას ბრაზილიელს ტრადიციულად არაფერი ეშლება.

პირველი წრის ბოლო ტურში „ლევერკუზენის" განადგურების (5:2) შემდეგ დიეგომ ბრემენი დატოვა და შობა-ახალი წლის გასატარებლად სამშობლოში გაემგზავრა. შესაბამისად, მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ხალხმა დეკემბრის საუკეთესო ფეხბურთელად აირჩია. ამ მორიგი დაჯილდოვების შესახებ მას პირადი თარჯიმანი **როლანდ მარტინესი** შეატყობინებს, რომელიც დარწმუნებულია, რომ 22 წლის ფეხბურთელს „ბუნდესლიგის ოსკარი" ტრადიციულად ბავშვივით გაახარებს, რის შემდეგაც იტყვის, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის დადასტურებაა, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ და თავს არასდროს ვზოგავო. ტრადიციულადო, იმიტომ ვამბობთ, რომ დიეგოსთვის თვის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება უკვე მეხუთეა 2007 წელს და ამ მხრივ ის ბუნდესლიგის რეკორდსმენი გახლავთ.

მას შემდეგ, რაც სეზონი დაინყო, ბრემენის „ვეზერშტადიონზე" ყოველი მატჩის დამთავრების შემდეგ, თითოეული რეპორტიორი შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებს. მაგრამ ჟურნალისტთა უმრავლესობა ხსენებულ გრაფას მაინც ცარიელს ტოვებს ხოლმე – რა მნიშვნელობა აქვს, ისედაც ხომ ყველამ იცის, რომ საუკეთესო თითქმის ყოველთვის დიეგოა?! მნიშვნელობა იმას აქვს, რომ „ვერდერის" სპონსორი კომპანია citibank მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს 500 ევროს ურიცხავს. დიეგო კი, ამ ფულს მაშინვე გაერთიანება "gol amigo-ს" გადაურიცხავს ხოლმე – ეს ფირმა ბრაზილიაში მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ეხმარება.

დიეგოს პირველი წრის ბალანსი თითქმის იდეალურია: „კიკერის" საუალო შეფასებით (2.74) ის მესამე ადგილზეა, გოლი პლუს პასის რეიტინგში ბრაზილიელი 16 ქულით (9 გოლი, 7 პასი) პირველ ადგილზე გახლავთ, 7 პასით კი ის გერმანიის პირველობის პირველი წრის საუკეთესო მეპასეა. ამასთან, 9 გოლით ის ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავასაც სათავეში უდგას (ვან დერ ვაარტთან, ტონისთან და კლოზესთან ერთად).

იშვიათია მატჩები, როცა დიეგო თავის შესაძლებლობებს ვერ ავლენს. ასე იყო, მაგალითად ჩემპიონთა ლიგაში, „ლაციოსთან", როცა მან ბოლოს ნერვები ვეღარ მოთოკა. *„წელიწადნახევარია, რაც „ვერდერშია" და თითქმის სულ მაღალ დონეზე თამაშობს, შესანიშნავ მატჩებს ატარებს. ამიტომაც, თითო-ოროლა ჩაგდებული თამაშის გამო ვერ გავუწყრები. დიეგო ჩვენი ბრილიანტია,"* – აცხადებს „მუსიკოსების" ბოსი **კლაუს ალოფსი** და იქვე დასძენს, ძალიან გაგვიმართლა, რომ ეს ფეხბურთელი ხელში ჩავიგდეთო.

საერთოდ, ბრაზილიელები ყოველთვის უდისციპლინობით გამოირჩეოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ბუნდესლიგაში ბრაზილიელი ფეხბურთელი მუდმივად ალკოჰოლურ სასმელთან, აყალმაყალთან, არაპუნქტუალურობასთან და შეკრებიდან დაგვიანებით ჩამოსვლასთან ასოცირდება. მაგალითისთვის, **აილტონისა** და **მარსელინიოს** მოყვანაც კმარა. გერმანიაში მათი უდისციპლინობა ყველაზე მეტად „ყვირის", რადგან ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წესრიგის მოყვარული ქვეყანაა. მაგრამ დიეგო ასეთი არ არის – თავად განსაჯეთ, ამ წელიწადნახევრის განმავლობაში მას ერთხელაც არ დაურღვევია დისციპლინა. ამიტომაცაა, ცოტა ხნის წინათ თვითონვე რომ თქვა, მე ევროპელი ბრაზილიელი ვარო.

ბრემენელთა სიამაყე: დიეგო რიბას და კუნია

მაგრამ საკითხავია: კიდევ რამდენ ხანს დარჩება დიეგო ბრემენში? ეს არის კითხვა, რომელიც „ვერდერის" ქომაგებს ყველაზე მეტად აწუხებთ, რადგან მათ იციან, რომ დადგება მომენტი, როცა „ბრაზილიელი ანგელოზი", როგორც მას უწოდებენ, ისევე გაფრინდება, როგორც მოფრინდა და მერე სულ სხვა, გაცილებით უფრო ძლევამოსილი კლუბის ფანებს აღაფრთოვანებს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ვერგადალახვამ შესაძლოა, ეს პროცესი დააჩქაროს. მით უმეტეს, რომ „რეალმა" და „იუვენტუსმა" უკვე გამოთქვეს დაინტერესება.

„ვერდერში" თავს არა მარტო კარგად ვგრძნობ, არამედ მჯერა, რომ ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომაც, არა მგონია, რომ მომავალ ზაფხულს ბრემენი დავტოვო. გული კარგს მიგრძნობს," – ამბობს ბრაზილიელი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ „მუსიკოსებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა. „ვერდერთან" ერთად მას არა მარტო პერსონალური ტიტულების დაგროვება, არამედ გუნდური ტიტულის მოგებაც უნდა. მიმდინარე სეზონში ეს ძალიან რეალურია – „ვერდერი" გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის.

გოტფრიდ ლენცი

პიერლუიჯი კოლინას ემუქრებიან

სამსაჯო ამბავი

ფეხბურთი ძალიან საშიში გახდა...

რატომ მიუჩინეს კოლინას გაძლიერებული დაცვა?

ვიდრე იტალიელ ქომაგთა ერთი ნაწილი შობისწინა ტურის შედეგებზე მსჯელობს, მეორე ნაწილისთვის მთავარ თემად პიერლუიჯი კოლინას პრობლემაა ქცეული. რამდენიმე დღის წინ, სახელგანთქმულ არბიტრს გაძლიერებული დაცვა დაუნიშნეს...

როცა იტალიის შინაგან საქმეთა ორგანოები **პიერლუიჯი კოლინას** უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, აპენინებზე ბევრი ფიქრობდა, რომ ეს ერთგვარად "კალჩოპოლის" სკანდალის გაგრძელება იყო. სინამდვილეში კი "ფანტომასთან" ამას არანაირი საერთო არ აქვს. დაცვის დანიშვნიდან მეორე დღეს, იტალიის ერთ-ერთი რეგიონის პრეფექტურის შეფმა, რომელიც ამავე დროს ადგილობრივი პოლიციის კომისარიცაა, კოლინას დაცვას გაურკვეველი დროით გაუგრძელა მოქმედების ვადა.

კოლინას, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო საფეხბურთო არბიტრაჟში, ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს და ბუნებრივია, ბევრი მტერიც ჰყავს. ეს ადამიანთა სხვადასხვა წრეა. ბოლო პერიოდში კოლინას ტელეფონზე არაერთხელ გაისმა სხვადასხვა ტიპის მუქარის ზარი, თვით ფიზიკური ანგარიშსწორების ჩათვლით. ამასთან დაკავშირებით, "ფანტომასის" კარიერიდან ორი ამბავი უნდა გავიხსენოთ. პირველი მოხდა 2000 წელს, როცა სერია A-ს ბოლო ტურის მატჩში, პერუჯაში, ადგილობრივი გუნდი "იუვენტუსს" მასპინძლობდა. ტურინელებს ფრეც ჰყოფნიდათ სკუდეტოს მოსაპოვებლად. თამაში კოკისპირული წვიმის თანხლებით ჩატარდა და მასპინძელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. ვისაც ეს თამაში ახსოვს, იმასაც გაიხსენებს, რომ გადაუღებული წვიმის გამო, კოლინამ მეორე ტაიმის დაწყება მთელი 75 წუთით დააყოვნა, თუმცა მიღებული წესებისა და რეკომენდაციების თანახმად, თამაში უნდა შეეწყვიტა და მეორე ტაიმი გაურკვეველი დროით უნდა გადაედო. 49-ე წუთზე **ალესანდრო კალორიმ** გამარჯვების გოლი გაიტანა. რომში კი "ლაციომ" დიდი ანგარიშით (3:0) სძლია "რეჯინას" და ჩემპიონი გახდა.

მეორე ამბავი მოხდა ახლახან, უკვე მას შემდეგ, რაც კოლორიტულმა არბიტრმა საერთაშორისო კარიერას წერტილი დაუსვა. ერთ-ერთ ინტერვიუში კოლინა გამოუტყდა ჟურნალისტს, რომ ბავშვობიდან... "ლაციოს" გულშემატკივარი იყო და დღემდე რჩება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სახელგანთქმულმა რეფერიმ კონკრეტული გუნდის მიმართ სიმპათიები საქვეყნოდ აღიარა. რა თქმა უნდა, ინტრიგების მოყვარულმა ჟურნალისტებმა მყისვე მოძებნეს კავშირი პერუჯაში მომხდარ ამბებსა და კოლინას პირად გრძნობებს შორის...

სანდო წყაროს მიერ გამხელილი ინფორმაციით, ირკვევა არბიტრისთვის დაცვის მიჩენის მთავარი მიზეზი. როგორც ცნობილია, ამგვარი ბრძანება პოლიციის კომისრის მიერ გაიცემა. არის ეჭვი, რომ ეს უკანასკნელი ვიღაც მესამე პირის (ან პირების) ინტერესებით მოქმედებდა. იტალიელი მიმომხილველები დარწმუნებულნი არიან, რომ კომისარი ამ გადაწყვეტილებას გარკვეულ წრეებთან მოთათბირებისა და კონსულტაციების გარეშე ვერ მიიღებდა. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, დაცვის გაძლიერება გადაწყდა მას შემდეგ, რაც კოლინამ მუქარის ახალი ზარები მიიღო. ეს ზარები კი პირდაპირ კავშირში იყო მის პროფესიულ საქმიანობასთან. შინაგან საქმეთა ორგანოებმა გამოძიება უკვე დაიწყეს. დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ პოლიცია დამნაშავეებს მიაგნებს. თავად კოლინა კი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ფეხბურთის ფედერაციამ იტალიელ მსაჯთა კორპუსის კურატორად დანიშნა, ზოგიერთი მოვალეობისგან სპეციალურად გათავისუფლდა. დღეს ის მხოლოდ სერია A-სა და B-ს მატჩების დირექტორებს ირჩევს და მათ კანდიდატურებს "ფედერკალჩოს" წარუდგენს. ეს არის და ეს.

კოლინა ცდილობს, კომენტარებისგან თავი შეიკავოს. თუმცა ცნობილია, რომ დაცვის გაძლიერება მას სერიოზულ დისკომფორტს უქმნის. მას ფეხდაფეხ დაჰყვებიან სპეციალური აგენტები, თან დილიდანვე, როცა პიერლუიჯი ჯიხურში გაზეთების საყიდლად მიდის. ანალოგიური სიტუაციაა, როცა თავის საყვარელ რესტორანში მეგობარ ქალბატონთან ერთად შედის. აღარაფერს ვამბობთ ჩემპიონატის თამაშებზე, რომელზე დასწრებაც კოლინასთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია. მას უთვალთვალებენ მაშინაც, როცა ყოველდღიურად ვიარეჯოს ზღვის სანაპიროზე დარბის. სხვათა შორის, ეს აგენტებსაც უქმნის პრობლემებს. ისინი სთხოვენ თავიანთი დაცვის ობიექტს, რომ რაც შეიძლება მოკლე დისტანციებზე ირბინოს. სხვა შემთხვევაში, რისკავენ, რომ კოლინა თვალთახედვიდან დაკარგონ...

ჯერჯერობით, ძნელია იმის თქმა, როდემდე გაგრძელდება კოლინას ტანჯვა. მიუხედავად ყველაფრისა, ის აგრძელებს მუშაობას ფეხბურთის ფედერაციაში და ახორციელებს იმ პროექტს, რომელიც იტალიური სამსაჯო კორპუსის რეფორმირებას უკავშირდება. სხვათა შორის, თავად რეფორმა, უფრო სწორად მისი მიზანი, უკვე აღარ იწვევს ისეთ სერიოზულ კრიტიკას, როგორსაც თავიდან. თუმცა დღეს ყველასთვის ნათელია, რომ იტალიელ მსაჯთა ახალი ტალღა ვერანაირად ვერ სჯობნის ძველ აპარატს. "კალჩოპოლის" სკანდალმა ახალი თაობის მსაჯებს საშუალება მისცა, სერია A-ს წამყვან ფიგურებს შორის დამკვიდრებულიყვნენ...

თუმცა შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. პირველად, ამაში "იუვენტუსი" დარწმუნდა. ექსპერტებმა დათვალეს, რომ არბიტრთა თუ ლაინსმენთან შეცდომების წყალობით "ბებერმა ქალბატონმა" სულ ცოტა 6 ქულა დაკარგა. ტურინელები გულხელდაკრეფილნი არ სხედან. მათ იჩივლეს "ნაპოლისთან" მატჩში მომხდარის გამო, რის შემდეგაც არბიტრი **მაურო ბერგონეცი** სერიოზულად დასაჯეს. შეგახსენებთ, რომ ბერგონციმ ხსენებული მატჩის დროს ტურინელთა კარში ორი არარსებული პენალტი დანიშნა. ნეაპოლელებმა ორივე 11-მეტრიანი გამოიყენეს და... "იუვე" უქულოდ დარჩა. მატჩის შემდეგ **კლაუდიო რანიერიმ** განაცხადა: *"ჩვენ არ გვინდა, რომ წარსულის ცოდვების გამო დღეს ვისჯებოდეთ. ჩვენ დღევანდელობით ვცხოვრობთ, ხოლო რაც შეეხება წარსულს, ამის გამო "იუვემ" უკვე აგო პასუხი და ეს უნდა დამთავრდეს. გვეყოფა".*

"იუვენტუსის" გარდა, არბიტრთა შეცდომების მსხვერპლად "მილანი" და "ტორინოც" იქცნენ. ისინი უკვე აფრიალებენ საჩივრებს ფეხბურთის ფედერაციაში. "როსონერის" ხელმძღვანელობამ მოამზადა სერიოზული ვიდეომასალაც, რომელიც, მათი აზრით, "მილანის" მონაწილეობით გამართულ შეხვედრებში არბიტრთა შეცდომებს ადასტურებს...

მაგრამ დავუბრუნდეთ კოლინას. აღვნიშნოთ, რომ ის ერთადერთი არაა ევროპელ მსაჯებს შორის, ვისაც ემუქრებიან. ცოტა ხნის წინ, შვედი არბიტრი **ანდერს ფრისკი** სიკვდილის მუქარით აიძულეს, კარიერა ნაადრევად დაესრულებინა. დაახლოებით ანალოგიური შემთხვევა იყო რუსეთშიც, სადაც მოვლენების ცენტრში სკანდალურად ცნობილი არბიტრი **ვალენტინ ივანოვი** მოექცა. მაგრამ მარტო მსაჯებს არ სჭირდებათ გაძლიერებული დაცვა. იმავე იტალიაში სერიოზულად ანერვიულებენ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანისა** და "ლაციოს" პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს**. ისინი რეგულარულად იღებენ მუქარებს "ულტრასებისაგან". გალიანი და ლოტიტო თვლიან, რომ ეს ჩვეულებრივი ხულიგნობაა, მაგრამ ვინ იცის, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ფეხბურთი ძალიან საშიში გახდა...

ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერები

რონალდინიოს 1 იანვარს მილანელლოში ელიან

რატომ ახსენა დეკუმ მოურინიო?

გუშინ რონალდინიოს "ბარსელონიდან" შესაძლო წასვლის შესახებ მცირე სტატია შემოგთავაზეთ. მასში ეწერა, რომ გაუჩოსთან თანამშრომლობით ისევ და ისევ "ჩელსი" და "მილანი" არიან დაინტერესებულები. გუშინ გვიან ღამით ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გავრცელდა. გაუჩოსთვის ბრძოლაში იტალიური გრანდი გაცილებით დიდ ენერგიას ხარჯავს. თუ ლონდონელები მხოლოდ ფაქსებისა და ელექტრონული წერილების გაგზავნით კმაყოფილდებიან, "მილანი" გადამწყვეტ მოქმედებებზე გადავიდა. მოსალოდნელია, რომ ადრიანო გალიანი უახლოეს დღეებში ბარსელონაში ჩაფრინდება და ჟოან ლაპორტასთან მოლაპარაკებას შეეცდება.

როგორც წესი დაინტერესებული მხარე პარალელურად უშუალოდ ფეხბურთელის მენეჯერსაც ესაუბრება ხოლმე, მაგრამ ამჯერად გალიანი **რობერტო დე ასის** *ჯერ-ჯერობით არ შეხმიანებია. როგორც ჩანს, იტალიელ საფეხბურთო ფუნქციონერს* **ლაპორტას** *დათანხმება გაცილებით პრობლემატურად მიაჩნია. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ,* **გალიანისა** *და დე ასისს დიდი ხანია საერთო ენა მონახული აქვთო. ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, ისინი ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს და ყოველთვის სიამტკბილობით ურთიერთობენ. მოკლედ, ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას და ჩვენც მივიჩნევთ, რომ ახლა ამ ეტაპზე მთავარი სწორედ სენიორ ლაპორტას დაყაბულებაა. სინიორ გალიანი რთული მოლაპარაკებების წინ უაღრესად ოპტიმისტურადაა განწყობილი. მან საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა და ჟურნალისტებს გული გადაუშალა: "ჩვენ რონალდინიოს გადაბირებაზე ვოცნებობთ. აგერ უკვე რა ხანია, მისი შეძენის სურვილს გამოვთქვამთ, მაგრამ კატალონიელთა აყოლიება ვერა და ვერ შევძელით. მგონი, ახლა დადგა მომენტი, როცა საქმეში გარდატეხა შეიძლება შევიდეს. მაქვს ინფორმაცია, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ძველებურად მტკივნეულად აღარ ხვდება გაუჩოს გასხვისების შესაძლებლობას. "მილანს" ძალიან დიდი შანსი აქვს იმისათვის, რომ რონალდინიო უახლოეს დღეებში შეიძინოს. მოდით, გულწრფელად გეტყვით, ჩვენ ვფიქრობთ, ბრაზილიელს 1 იანვარს უკვე იტალიაში ჩამოვიყვანთ და კონტრაქტს გავუფორმებთ. ასე რომ, ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხია. რა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელი მოვლენების მომსწრენიც შეიძლება გავხდეთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართება. ბუნებრივია, საკმაოდ მყარი გარანტიები და კოზირები რომ არ მქონდეს, ახლა ასე არ ვილაპარაკებდი. მოკლედ, ყველაფერი ამ ორ სამ დღეში გადაწყდება. მჯერა, რონალდინიო სწორედ ჩვენს უსაყვარლეს "მინალში" გააგრძელებს კარიერას. ბოლო დროს მას "ბარსელონაში" არცთუ ხშირად ენდობიან. გახშირდა პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის სათადარიგოთა სკამზე დატოვების შემთხვევები. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ "როსონერიში" მას მსგავსი საფრთხე არ დაემუქრება."*

როგორც ხედავთ, ადრიანო გალიანი მართლაც ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. თითქოს, საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვეს. უამრავი მცდელობის მიუხედავად განცხადება არავინ გააკეთა.

ამასობაში კი, ბრაზილიაში საშობაო არდადეგებზე მყოფმა **დეკუმ** *"დიარიო სპორტის" კორესპონდენტს სატელეფონო ინტერვიუ მისცა და აბსოლუტურად მოულოდნელი რამ თქვა: "ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ "ბარსელონას" ყოზე მოურინიო ჩაიბარებს. ის გენიალური მწვრთნელია. ამ კაცმა ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. ეჭვი არ მეპარება, რომ მოურინიო ფენომენალურ წარმატებებს მოგვიტანს. "პორტუში" ერთად ორი წელი გავატარეთ. ამ ორ სეზონში ყველაფერი მოვიგეთ რისი მოგებაც შეიძლებოდა. მოურინიოსგან ბევრი რამ ვისწავლე. რა თქმა უნდა, მისი დანიშვნა ჩემზე არ არის დამოკიდებული. არც ის ვიცი, როდის შეიძლება "კამპ ნოუზე" გადმოვბარგდეს, მაგრამ ვისურვებდი, რომ თავისი ნიჭი კატალონიურ გრანდს მოახმაროს."*

სპეციალისტებს დეკუს თამამი განცხადება ძალიან საინტერესოდ ენიშნათ. ბარსელონაში ჭორები დადის, **რაიკაარდს** *გასაშვებად ამზადებენ და მის ნაცვლად სწორედ* **მოურინიოს** *მონვევას აპირებენო. მოვლენები რამდენიმე შესაძლო სცენარით შეიძლება განვითარდეს. არ არის გამორიცხული, ჰოლანდიელი მალევე გაუშვან და მოურინიოს დახმარება სთხოვონ. თუ არადა, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ რაიკაარდს აუცილებლად გადააყენებენ.*

ილია ნიკოლაიშვილი

ბრაზილიელ ვარსკვლავს მილანში ელოდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პეპე რეინასთან

ჩვენი ჰიმნის ყოველი მოსმენისას თავიდან ვიბადები

ასე აჯადოებს ესპანელ მეკარეს ენფილდი და მისი გამაოგნებელი ჰანგები

პეპე რეინა წლებია "ლივერპულის" ღირსებას იცავს. მისი თამაშით ყველა კმაყოფილია. რაფა ბენიტესი ესპანელს გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად მიიჩნევს და სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში აყენებს. ინგლისური კარიერით თავად რეინაც კმაყოფილია. ამბობს, რომ ლივერპულში ბედნიერად ცხოვრობს, თუმცა ესპანეთი ძალიან ენატრება. პირენეელი გოლკიპერი არ მალავს, რომ პრიმერადივიზიონური გუნდებიდან ყველაზე მეტად "ატლეტიკო" მოსწონს. რეინას "დიარიო ასის" კორესპონდენტი ლივერპულში ესტუმრა და საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მოამზადა. თქვენს სამსჯავროზე ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.

პეპე რეინა

- თქვენზე უკეთ არავის ეცოდინება, რამდენად რთული იყო ფერნანდო ტორესისთვის ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა. ძალიან გვაინტერესებს, როგორ გრძნობს თავს "ატლეტიკოს" ყოფილი ვარსკვლავი?

- "ელ ნინიომ" პირველივე დღიდან ზედმიწევნით კარგად იცოდა, რომ ახალ გუნდში დასამკვიდრებლად უდიდესი შრომა დასჭირდებოდა. იმაზე მეტი მუშაობა, რომელსაც ის "ატლეტიკოში" ყოველდღიურად ასრულებდა. ყველას უზომოდ გვიხარია, რომ ტორესი "ლივერპულს" ჩინებულად შეეწყო. ფერნანდო უძლიერესი ფორვარდია. აკლიმატიზაცია მან საკმაოდ იოლად გაიარა. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამემამულე კლუბს ფანტასტიკურად შეეწყო და მის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. მჯერა, მომავალშიც ყველაფერი კარგად წარიმართება და "ელ ნინიოს" გოლების წყალობით "ლივერპული" მრავალ მნიშვნელოვან გამარჯვებას მოიპოვებს. ამაში ეჭვიც არ მეპარება.

- ფერნანდომ გულშემატკივრების უდიდესი სიყვარულის მოპოვება უმცირეს დროში მოახერხა...

- აბსოლუტურად გეთანხმებით. ხალხი ტორესზე ჭკუას ჰკარგავს. ზოგადად ლივერპულელი გულშემატკივრები ძალიან მოსიყვარულეები და თბილები არიან. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ტორესთან მიმართებაში ისინი განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენენ. საზოგადოება აცნობიერებს, რომ პლანეტის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა ფორვარდმა მათი კლუბის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი და ახლა მისი კეთილდღეობისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს. ქომაგები შრომას არავის უკარგავენ. ამ ბიჭს აბსოლუტურად ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ "ლივერპულის" ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული და დაუვიწყარი ფეხბურთელი გახდეს.

- ამის თქმა თქვენზე უკვე თამამად შეიძლება. "ლივერპულის" ვეტერანი და ლიდერი ხართ...

- "ენფილდზე" მესამე სეზონს ვატარებ. გამიჭირდება იმის თქმა, რომ უკვე ვეტერანად ვიქეცი, თუმცა შემიძლია განვაცხადო, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქია მაკისრია. უაღრესად კომფორტულად ვგრძნობ თავს. პატარა ბავშვები არ ვართ, რომ მუდმივად ერთი და იმავეს გამეორება გვჭირდებოდეს. ბენიტესი ხშირად მეუბნება, რომ ძალიან მოვწონვარ. ჩემთვის ეს სრულიად საკმარისია და კომპლიმენტებს ყოველ დღე არ ველი. მთავარია, მუშაობა გავაგრძელო და დასახულ მიზნებს იოლად მივაღწიო. თანაგუნდელებთან საერთო ენის გამონახვა ოდნავადაც არ მიჭირს. ნახევარდაცვა და დაცვა სერიოზულად მეხმარება. მათი წყალობით თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობ. მოკლედ, "ლივერპულში" მეტისმერად ბედნიერი ვარ.

- ესპანეთში სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ პრემიერლიგის დონე პრიმერადივიზიონის დონეს მიუახლოვდა. ინგლისის ჩემპიონატში ისევე, როგორც ჩვენთან პლანეტის საუკეთესო მოთამაშეები იყრიან თავს...

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პრემიერლიგა უძლიერესი ჩემპიონატია. ინგლისურ ფეხბურთს განუმეორებელი ვნება და ემოცია ახლავს. თავად წარმოიდგინეთ, რამდენად ამაღელვებელია სისტემატურად სასვსე ტრიბუნების წინაშე თამაში. მნიშვნელობა არ აქვს, შინ ასპარეზობ, თუ გასვლაზე. ყოველ უქმეებზე ინგლისის უკლებლივ ყველა სტადიონი პირთამდე ივსება. ათიათასობით გულშემატკივრის წინაშე გასულს სხვა უფლება აღარ გრჩება, თუ არა თავგანწირვით ბრძოლა და მაქსიმუმის გაღება. მერწმუნეთ, ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ასეთი ფანები გვყავს. "ენფილდზე" "ლივერპულის" ჰიმნის მოსმენა ერთ სიცოცხლედ ღირს.

- თქვენ და თქვენი თანაგუნდელები "ლივერპულის" გულშემატკივრების შესახებ ყოველთვის აღმაფრენით საუბრობთ. ნუთუ ისინი მართლაც ამდენად ფანტასტიკურები არიან?

- არ არსებობს სიტყვა, რომელიც "ლივერპულის" ფანებზე საუბრისას ჩემს აღფრთოვანებას 100 პროცენტით გამოხატავს. ეს უბრალოდ უნდა განიცადო. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ვერაფრით შევძლებ იმ გრძნობების, განცდებისა და ემოციების სიტყვიერად გადმოცემას, რომელიც "ენფილდზე" გასვლისას მეუფლება. ჩვენ აბსოლუტურად ყველა ტიტულისთვის ვიბრძვით. ინგლისურ ფეხბურთს კიდევ ერთი რაინდული თვისება გამოარჩევს, სიტუაცია რამდენად უიმედოც არ უნდა იყოს, მაინც ყველა ბოლომდე იბრძვის. ვაცნობიერებთ, რომ პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კლუბის ღირსებას ვიცავთ. ეს საოცარი გრძნობაა. ჩვენი ჰიმნის ყოველი მოსმენისას თავიდან ვიბადები.

- თუ არ მინყენთ, ასეთი აღმაფრენის შემდეგ "ატლეტიკოზე" გკითხავთ.

- რატომ უნდა გიწყინოთ?! პირიქით, "ატლეტიკოზე" უდიდესი სიამოვნებით ვისაუბრებ, რადგან ეს გუნდი უზომოდ მომწონს. "როხიბლანკოზე" ჭკუას ვკარგავ. ამის მიზეზი ჩემი ოჯახია. მთელი ოჯახი სწორედ "ატლეტიკოს" ქომაგობს. გამოგიტყდებით და გულწრფელად გეტყვით, რომ ამ გუნდს ჩემს მეორე ოჯახად მივიჩნევ. ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებს შეძლებისდაგვარად თვალ-ყურს ვადევნებ და რა თქმა უნდა, მუდამ "როხიბლანკოს" ვქომაგობ. ძალიან მიხარია, რომ სერიოზული პროგრესი განიცადეს. იმედია, სეზონის ბოლოს გულშემატკივრებს რომელიმე ტიტულის მოპოვებით გაახარებენ.

- საინტერესოა, "ატლეტიკოში" გადაბარგებაზე ხომ არ ფიქრობთ?

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს გუნდი სიგიჟემდე მომწონს და მიყვარს, მაგრამ კლუბის გამოცვლას არ ვაპირებ. "ლივერპულზე" უკვე ბევრი რამ მოგახსენეთ. საოცნებო გუნდის ღირსებას ვიცავ. ასე რომ, მისი დატოვება ჩემს გეგმებში არ შედის.

- და მაინც, ესპანეთში მთელი სერიოზულობით საუბრობენ, რომ ადრე თუ გვიან "ატლეტიკოში" ჩაირიცხებით და კარიერას სწორედ იქ დაასრულებთ.

- აკი გითხარით, "როხიბლანკოს" მიმართ განსაკუთრებული გრძნობები მაქვს-მეთქი. ამას ვერაფრით უარვყოფ. მამაჩემი ფეხბურთელობისას მის ღირსებას იცავდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, "ატლეტიკოში" უამრავი მეგობარი მყავს. "ენფილდის" მსგავსად "ვისენტე კალდერონზეც" ფანტასტიკური გულშემატკივრები იკრიბებიან. მადრიდი ფანტასტიკური ქალაქია. მას მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს დედაქალაქად მივიჩნევ. შეუძლებელია, კარგი ანაზღაურების მქონე ადამიანმა მის ქუჩებში ბედნიერად არ ისეირნოს... თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, არ მაქვს სურვილი, რომ "ლივერპული" დავტოვო. მასთან კონტრაქტი მაქვს გაფორმებული და ძალიან მინდა, მინიმუმ მისი ვადის ამოწურვამდე დავრჩე. არ გამოვრიცხავ, მოგვიანებით ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობა გავანაგრძლივოთ. მოკლედ, დღეისათვის "ვისენტე კალდერონზე" გადაბარგება 100 პროცენტითაა გამორიცხული.

- ჰო, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ენრიკე სერესო და მიგელ ანხელ ხილ მარინი მომავალი სეზონისთვის თქვენს შეძენას შეეცდებიან.

- ადამიანმა ძალიან ბევრი რამ შეიძლება სცადოს, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ მაინც და მაინც წარმატებას მიაღწიოს. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში. როგორც მინიმუმ ჩემი თანხმობაა საჭირო იმისთვის, რომ "ატლეტიკომ" პეპე რეინა ჩაიგდოს ხელში. დღეს-დღეობით პრიმერა დივიზიონში დაბრუნებას გამოვრიცხავ. არ მინდა, ვინმეს ცრუ იმედი მივცე. ჯობს, ყველაფერზე გულწრფელად ვისაუბრო და წინასწარვე მკაფიოდ განვაცხადო, რომ "ლივერპულიდან" აბარგება არა თუ არ მსურს, საამისო შესაძლებლობაზე წამითაც არ დავფიქრებულვარ. მოკლედ, "ენფილდზე" ვრჩები და დიდი იმედი მაქვს, რომ აქ კიდევ მრავალ წელს ვითამაშებ.

- პრემიერლიგას სხვა ქვეყნების ჩემპიონატებისგან კიდევ რა გამოარჩევს?

- ისევე როგორც პრიმერა დივიზიონში პრემიერლიგაშიც ღია და გახსნილი ფეხბურთია მოდაში. ნებისმიერ გუნდს შეუძლია, ნებისმიერი მოწინააღმდეგე დაამარცხოს. "რეალი" ოდნავ უკეთეს ფორმაშია და შვიდქულიან უპირატესობას ფლობს. "ბარსელონა" წელს არ არის საუკეთესო ფორმაში, მაგრამ უდავოა, მთავარი ბატალიები ჯერ კიდევ წინ არის.

- პრიმერა დივიზიონსა და პრემიერლიგას შორის არსებულ განსხვავებებზე რას გვეტყვით?

- მთავარი განსხვავება საშუალო დონის ფეხბურთელების ხელფასებშია. ინგლისში გაცილებით მეტს იხდიან. რა თქმა უნდა, "რეალისა" და "ბარსელონის" ვარსკვლავებს ეს არ ეხებათ. როგორც მოგახსენეთ, საშუალო დონის მოთამაშეებს ვგულისხმობდი. აქვე კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი, რომ ინგლისის პირველობის ნებისმიერი მატჩი სავსე ტრიბუნების წინ მიმდინარეობს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რომელ ადგილზეა, ვის ულხინს, ვის კრიზისი აქვს. ფეხბურთი ინგლისელების ცხოვრების ნაწილია. მათთვის ეს თამაში დღესასწაულთან ასოცირდება. ამიტომ, სტადიონები მართლაც ყოველთვის ივსება. დამეთანხმებით, პრიმერა დივიზიონის გუნდებს ასეთი ფუფუნება არ გააჩნიათ. საკმარისია, გუნდმა ზედიზედ რამდენიმე თამაში ნააგოს, ტრიბუნები ნელ-ნელა ცარიელდება და ბოლოს აღმოაჩენენ, რომ მხოლოდ რამდენიმე ათასი ინჩასი ყიდულობს ბილეთს. იმედია, ჩემი თანამამულეები არ მიწყენენ, არ შეიძლება, საყვარელ გუნდს რაიმე გარემოების გამო ზურგი შეაქციო. დარწმუნებული გახლავართ, "ლივერპულმა" ზედიზედ 20 მატჩი რომ წააგოს, 21-ე შეხვედრა მაინც ანშლაგის ფონზე ჩაივლის. ნურავინ იფიქრებს, რომ ენფილდელები იდიოტები არიან და მათთვის სულერთია, მოიგებს თუ წააგებს "ლივერპული". უბრალოდ, გულშემატკივრები ხვდებიან, რომ წაგებას ჩვენც ძალიან მტკივნეულად აღვიქვამთ და ცდილობენ, თანადგომით საერთო საქმე გააიოლონ. ვფიქრობ, ეს დიდი ფილოსოფიაა. იმედია, ესპანეთში ადრე თუ გვიან ანალოგიური სულისკვეთება გამეფდება.

- მესმის რასაც ამბობთ. ჩვენს ქვეყანაში საკმარისია ერთი თამაში წააგო, რომ სასტიკი სკანდალი და დაძაბულობა იწყება. ასევე საკმარისია, ერთი შეხვედრა მოიგო, უმალ გმირად გაქცევენ...

- ჰო, რატომღაც რთულადაა საქმე. მსაჯების საქმიანობა ავიღოთ. როცა თამაშებს ვუყურებ, შთაბეჭდილება მექმნება, რომ არბიტრებს ჯოჯოხეთურ გარემოში უწევთ მუშაობა. მათზე ზემოქმედებას 22 ფეხბურთელი, ორი სათადარიგოთა სკამი და ათიათასობით მაყურებელი ახდენს. ეს დაუშვებელია. აქ, ინგლისში ყველაფერი გაცილებით მშვიდადაა. ხალხი თამაშობს და მსაჯებს პატივისცემით ეპყრობა. თუ ვინმე შეცდება, ცოტას იკამათებენ, მაგრამ სკანდალს არავინ აწყობს. მათ იციან, რომ არბიტრებიც ადამიანები არიან და შეიძლება შეცდნენ. თუნდაც გულშემატკივართა ქმედება ავიღოთ. ხშირია შემთხვევა, როცა გუნდი აგებს და ინჩასები ობსტრუქციებს აწყობენ. კი მაგრამ განა ვიმნეს ჰგონია, რომ თავად ამ მოთამაშეებს წაგება სიამოვნებთ? ესეიგი რაღაც არ გამოსდით. ამ დროს კი გინება კი არა, თანადგომაა საჭირო. იქნებ ერთობლივი ძალისხმევით საქმე უკეთ გამოვიდეს. მახსოვს, ერთხელ "რეალი" აგებდა. "ბერნაბეუ" კინაღამ სტვენით დაინგრა. არადა, საფინალო სასტვენამდე 35 წუთი რჩებოდა. იმის ნაცვლად, რომ ხალხს საკუთარი გუნდი გაემხნევებინა, ბიჭებს გინებით იკლებდნენ. შედეგად, სამეფო კლუბმა ის ორთაბრძოლა დათმო. ვინ იცის, იქნებ ომახიანი შეძახილებით გამხნევებულ ვარსკვლავებს უკეთ შეეტიათ და მოეგოთ კიდეც. "ენფილდზე" მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. 0:6 რომ ვაგებდეთ, მაინც არ შეგვაგინებენ.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბის რჩეულნი

ირაკლი მაჩხანელი და...

გუშინ, კინოთეატრ რუსთაველში საქართველოს რაგბის კავშირმა წლის მიღწევები შეაჯამა. ღონისძიება, რომელსაც მოქმედ და ვეტერან მორაგბეებთან ერთად, ქართული რაგბის მეოხი კომპანიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, საფრანგეთში, მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმით გაიხსნა.

ფრანგულმა პერიპეტიებმა დამსწრეთა განწყობა ბევრად უფრო აამაღლა. რასაც, როგორც წესია, დაჯილდოების ცერემონიალი მოჰყვა. ღონისძიების წამყვანმა, ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა **თემურ ჯაფარიძემ** თავდაპირველად საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისა და ჭაბუკთა A ლიგის გამარჯვებულები და პრიზიორები გამოიძახა.

სანამ, სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ლაურეატების დაჯილდოება დაიწყებოდა, წამყვანმა, ოცი წლის წინანდელი, ქუთაისის „აიას“ მიერ საკავშირო ასპარეზზე მიღწეული წარმატებები გაიხსენა. მაშინ, 1987 წელს ქუთაისელმა მორაგბეებმა დუბლი გაახერხეს, საბჭოთა კავშირის თასს, ჩემპიონის ტიტულიც მიუმატეს. ქუთაისის „აიას“ სახელოვანი, ვეტერანი მორაგბეები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვა.

მერე კი დადგა ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოების დროც. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვე, ცხრა გატანილი ლელოთი „დინამოს“ მესამეხაზელი **ლაშა აზალაძე** გახდა, რომელსაც კომპანია GTC-იმ ჯილდოდ ტელევიზორი გადასცა. „ბეკოს“ ტელევიზორი უსახსოვრეს საუკეთესო ბომბარდირს, „ლელოს“ ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს**. ყველაზე კორექტული გუნდის ტიტული „ლელოს“ ერგო, რისთვისაც სამშენებლო კომპანია „ჰორიზონტმა“ გუნდი ტელევიზორითა და ვიდეოკამერით დააჯილდოვა. LG-ის ტელევიზორები გადასცა საჩუქრად „ნიკორას“ წარმომადგენელმა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს - **დავით ჩავლეიშვილს, მალხაზ ჭეიშვილს და პაატა ნარიმანაშვილს**.

რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა მათ გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და შრომისმოყვარეობით კიდევ ბევრ სასარგებლოს მოუტანენ ქართულ რაგბს.

სათანადოდ აღინიშნა რაგბის ახალი ნაირსახეობების, ქვიშის რაგბის კავშირის დაფუძნების ფაქტიც. კომპანია „ნატახტარმა“ კავშირის პრეზიდენტ **კახა მხეიძეს** საჩუქრად მუსიკალური ცენტრი გადასცა. ცხადია, უყურადღებოდ არც ქალთა რაგბის გუნდი დარჩენილა. რაგბის კავშირმა „სუსტი“ სქესის წარმომადგელებს ყვავილები და ტორტი მიართვა.

სპორტული მედიის გამოკითხვის შედეგად, 2007 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის „ყოჩების“ მთავარი მწვრთნელი **ნიკო ჭავჭავაძე**, რომელიც კომპანია CIP-იმ მუსიკალური ცენტრით დააჯილდოვა. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კი ამავე გუნდის შუამარბი **დავით კაჭარავა** დასახელდა. მას საჩუქრად სავაჭრო ცენტრმა „პიკსელმა“ ფოტო კამერა გადასცა.

საკმაოდ სოლიდური ჯილდო ერგო საქართველოს 2007 წლის საუკეთესო მორაგბეს, ეროვნული ნაკრების გარემარბ **ირაკლი მაჩხანელს**. „სილქ როუდ ბანკმა“ მას ოქროს ბარათი გადასცა 1000 ევროიანი დეპოზიტით.

გამოკითხვა ასევე წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო, სიმბოლური თხუთმეტეულის დასახელებასაც ითვალისწინებდა. გამარჯვებულებს გადასცეს კვართები, რომლებზეც თითეული მათგანის გვარი ამშვენებდა.

2007 წლის საქართველოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები ასეთია:

15. ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), **14. ირაკლი გეგენავა** (ყოჩები), **13. დავით კაჭარავა** (ყოჩები), **12. ვილიამ კაიფაჯიანი** (არმაზი), **11. სანდრო ნიჟარაძე** (ყოჩები), **10. ლაშა ხმალაძე** (ლელო), **9. ირაკლი ღვინჯილია** (ლოკომოტივი); **1. ბადრი ყალიჩავა** (ყოჩები), **2. ოთარ ტურაშვილი** (ლოკომოტივი), **3. ბექა შეყლაშვილი** (ყოჩები), **4. მიხეილ არჩუაშვილი** (ყოჩები), **5. დავით დაუშვილი** (ლელო), **6. ლევან გენებაშვილი** (ყოჩები), **7. ბექა სარდანაშვილი** (ლელო), **8. ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი).

დასასრულ, საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა **გია ნიჟარაძემ** და კომპანია „კვარციტის“ წარმომადგენელმა **დიმიტრი კალანდაძემ** სასპონსორო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ოთხწლიანია და „კვარციტი“ ვალდებულებას იღებს რაგბის კავშირს წელიწაში 500 ათასი ლარით დაეხმაროს. აქვე გაცხადდა, რომ რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბე **მერაბ ბესელია**, რომელიც იმავდროულად კომპანია „კვარციტს“ წარმოადგენს.

ბესიკ ჯანგავაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე დავით კაჭარავა

საუკეთესო მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე

სამეული: ნარიმანაშვილი, ჭეიშვილი, ჩავლეიშვილი

ბომბარდირი ირაკლი ყიასაშვილი

ტკბილეული და ყვავილები მორაგბე გოგონებს

თემურ ჯაფარიძე და აიას ლეგენდა ბართლომე ხამაშურიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება

სპორტულ ექიმთა რჩეულები



მარცხნივ ზურაბ კახაბრიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ ფარმაცევტული კომპანია „GPS" ოფისში სპორტულ პრობლემებზე მომუშავე ექიმები შეიკრიბნენ - საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციამ წლის შემაჯამებელი სხდომა გამართა. ცხადია, მთავარი სალაპარაკო თემა პეკინის ოლიმპიადისთვის მზადება იყო. მედიკოსებმა კიდევ ერთხელ იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რაც თამაშებისთვის მზადებაში, სპორტსმენთა ნაყოფიერ წვრთნაში ამჟამად მათ წინაშეა, ან, შესაძლოა, მომავალში წარმოიქმნას.

სხდომის დასრულების შემდეგ ასოციაციის პრეზიდენტმა და ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმა,** ტრადიციულად, სპორტული მედიცინის პრობლემატიკაში აქტიურად ჩართული ექიმები და ჟურნალისტები დააჯილდოვა. სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ ქართული სპორტული მედიცინის ვეტერანებს - **რომანოზ სვანიშვილს, დურმიშხან ჩიტაშვილს, მანანა რუხაძეს და ელზა კორინთელს.** სიგელებთან და საჩუქრებთან ერთად ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ უშუალოდ ნაკრებ გუნდებთან მომუშავე ექიმები - **თეა ადამია, გიორგი ლომიძე, ქეთინო ბერიძე, მაია ბალაბანოვა, თამარ ჯავახიშვილი, ვაჟა კახაბრიშვილი.** ასევე დაჯილდოვდნენ შავი ზღვის აუზის თამაშებზე მომუშავე ანტიდოპინგური კომისიის ჯგუფი, რომელშიც მხოლოდ ქართველები სედიოდნენ - **პავლე კასრაძე, ნიკოლოზ შათირიშვილი და დავით ხარაბაძე.** მადლობის ფურცელი გადაეცა **მაკა ხოფერიას.**

ჟურნალისტთაგან **თენგიზ გაჩეჩილაძე, ალეკო ჯიბლაძე** და **დავით მინაშვილი** დაჯილდოვდნენ.

ირაკლი თავაძე

ხსოვნა



გივი ნიკურაძე

გულით იცხოვრა

ქართული სპორტის არაერთ ღირსეულ პიროვნებას დაუმსახურებია საყოველთაო სიყვარული და არა მარტო მაღალი სპორტული მიღწევებისთვის, არამედ მაღალი ზნეობისთვისაც. ბედნიერი დამთხვევაა, როცა დიდი სპორტსმენი პიროვნულადაც სიდიადეს განასახიერებს. ასეთი იყო გივი ნიკურაძე საქართველოში სანიჩბოსნო სპორტში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი და თაობათა გზის გამკვლევი. საშინაო, საკავშირო თუ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებულ მიღწევებში, უპირველესად, ამ მიღწევების შემოქმედის პიროვნული ღირსებები იკითხებოდა.

საბჭოთა სპორტს, წინა პლანზე რჩეულთა წამოწევის თავისებური წესი ჰქონდა დამკვიდრებული. უპირატესობა თანაბარი ძალის ათლეტთა შორის, ისინი კი მუდამ მრავლად იყვნენ, ენიჭებოდა ისეთს, ვინც ზნეობრივი მაგალითი იყო სხვებისთვის. გივი ნიკურაძე სრულად ესადაგებოდა ამ მოდელს და მოხვდა კიდეც მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე 1976 წელს სსრკ ნიჩბოსანთა ნაკრებში.

სპორტი და პიროვნება, პიროვნება და სპორტი, გ. ნიკურაძე მართლაც რომ ამ ბედნიერი თანხვედრის ბრწყინვალე განსახიერება იყო. ფიზიკური და სულიერი სილამაზე, კეთილშობილება, კომუნიკაბელურობა, სიალალე, თავაზიანობა და თავმდაბლობა ჰარმონიულად იყო მასში შერწყმული სხვა ადამიანურ ღირსებებთან ერთად. მთლიანობაში კი ყოველივე ეს გვირგვინად ადგა, როგორც უნიკალურ პიროვნებას.

ასეთად დარჩა ცხოვრების ბოლომდე - ჩუმი, უპრეტენზიო თათვდადრეკით საქმის მკეთებელი. მისი ფიქრი მუდამ ქართულ სპორტს, სპორტის იმ სახეობას დასტრიალებდა, რომლის უანგარო სამსახურსაც ათეულობით წლები შეალია. სწორედ რომ მუდმივი ფიქრის შედეგი იყო ახალი პერსპექტივები, რომელიც ამ ქვეყნიდან მისი წასვლის შემდეგაც თითოეული ჩვენგანის საზრუნავი რჩება, მისი ხორცშესხმა კი მეგობრის ხსოვნის ღირსეული პატივმიგების დასტური იქნება.

თავის ცხოვრების წესით გ. ნიკურაძემ შესძლო „სიკვდილის შემდეგ კურთხევით მოსახსენებელი სახელის დატოვება". ხვალ 58 წლისა გახდებოდა.

ამბობენ, ვინც გულით ცხოვრობს, გულითვე კვდებაო.

გივი ნიკურაძემ გულით იცხოვრა...

მეგობრები

სასკოლო სპორტი

ასაშორიუმ ქართველ დებიუტანტს გზა დაულოცა

მარცხნივ ტოჩინოშინი

დიდმა ჩემპიონმა, მონღოლმა **ასაშორიუმ** ტრადიციული გამსვლელი ვარჯიში გამართა (დეგეიკო), ეს ვარჯიში მან საკუთარ კლუბ კასუგანოში ჩაატარა. მან 20-მდე საჩვენებელი ბრძოლა გამართა, ასაშორიუს მეტოქეები იყვნენ **ტოჩინონადა, ტოჩინოჰანა** და **ფუტენო.** ამის შემდეგ ასაშორიუმ მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში გზა დაულოცა ორ დებიუტანტს ქართველ **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** და იაპონელ **კიმურაიამა.** ტოჩინოშინი ნოემბრის ბაშოს 5-2 ბალანსით დასრულების მერე მაკუშიტას დივიზიონის პირველი ნომერი ძურიოს დივიზიონში აღმოსავლეთის მე-12 ნომრად აღზევდა. ელიტაში ფეხს ტოჩინოშინი პირველად ტოკიოს ბაშოზე, 13 იანვარს შეაბიჯებს. ქართველი 20 წლისაა, ის 191 სმ. სიმაღლისაა და 142 კილოს იწონის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თარიღი

გალინა შარაბიძე (მინაიჩევა). დაიბადა 29.12.1929 მოსკოვი (რუსეთი). სპორტული ტანვარჯიში. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, მეორე და მესამე პრიზიორი საგნით ჯგუფურ ვარჯიშსა და ბჯენით ხტომებში, მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში და მეორე პრიზიორი საგნით ჯგუფურ ვარჯიშში (1954) სსრკ ჩემპიონი ძელზე ვარჯიშში (1953) საერთაშორისო ტურნირებში მარავალგზის გამარჯვებული. 1953 წლამდე გამოდიოდა მოსკოვის სახელით. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი.

დავით ჩირაძე. 29.11.1920. ქუთაისი. – 27.02.1987. იქვე. ჭადრაკი, მწვრთნელი. ქუთაისის პიონერთა სა მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის გამგე (1947-87) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მაია ჩიბურდანიძის, თამაზ და გია გიორგაძეების პირველი მწვრთნელი.

სასკოლო სპორტი

ახალი თაოსნობა

თბილისის 57-ე საჯარო სკოლის დირექტორის **სოსო ხუციშვილის,** ამავე სკოლის ფიზაღზრდის, სპორტისა და ესთეტიკის კათედრის გამგის, **ვახტანგ ბაქანიძის** ინიციატივით ვაკის რაიონში დაინერგა ტურნირები მინიფეხბურთსა და კალათბურთში, რაზედაც ნებართვა გასცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. თაოსნებს მხარში დაუდგა ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრის უფროსი **ხათუნა მაჭარაშვილი.**

კალათბურთელთა ტურნირი ჩატარდა დევიზით: „ვაკელ ბიჭებს უყვართ კალათბურთი". მონაწილეობდა 54-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე და 165-ე სკოლების VI-VII კლასების ნაკრები გუნდები წრიული სისტემით (მთავარი მსაჯი **თემურ მამუჩიშვილი**). პირველობა წილად ხვდა 57-ე სკოლის გუნდს (მწვრთნელი **თეიმურაზ თურვანდიშვილი**). მეორე ადგილზე გავიდნენ 53-ე სკოლელები. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელიც გამარჯვებული გუნდიდანაა - **ანრი თურვანდიშვილი.**

მინიფეხბურთში II-III, IV-V და VI-VII კლასელები შეეჯიბრებიან ერთმანეთს დევიზით: „ვაკელ და ვერელ ბიჭებს უყვართ მინიფეხბურთი".

57-ე სკოლის ხელმძღვანელობის სურვილია ამ სასწავლებლის სპორტული კომპლექსი, კეთილმოწყობის შემდეგ, ვაკის რაიონის საჯარო სკოლების სპორტულ ცენტრად აქციონ, რისთვისაც მხარდაჭერას სამინისტროს და თბილისის მერიას სთხოვენ.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

კალათბურთში გამარჯვებული 57-ე საჯარო სკოლის გუნდი

მეტრეველი ამოქმედდა

ნოემბრის ბოლოს მიღებული მცირე ტრავმის შემდეგ იტალიის „მონტეპასკის“ ქართველი მეფრე ნიკა მეტრეველი ფორმაში სწრაფად ჩადგა და სტატისტიკასაც იუმჯობესებს.

ამ კვირას მან იტალიის 19 და 17-წლამდელთა ჩემპიონატებში თითო მატჩი ჩაატარა. ჯერ „მონტეპასკის“ 19 წლამდელებს თანაქალაქელი „კოსტონეს“ ძლევაში დაეხმარა - 99:28. არ გვეშლება, „კოსტონემ“ მართლაც 28 ქულა ჩააგდო. დერბიში ხუთმა მონტეპასკელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. მათ შორის იყო ნიკა მეტრეველი, რომელმაც 11 ქულა ჩააგდო.

მეორე მატჩში ქართველ ცენტრს 17-წლამდელებთან მოუწია თამაში და შედეგიც შესაბამისი იყო - 21 ქულა. მატჩის მეორე სნაიპერი ასევე მონტეპასკელი ინგროსო გახდა (18 ქულა).

როგორც ჩანს სიენელებს ყველა ასაკობრივ გუნდში მაღალი კლასის შემადგენლობა ჰყავთ - „მონტეპასკის“ 17-წლამდელმა თანატოლთა ჩემპიონატში „გეზანო“ სასტიკად დაარბიეს - 110:26.

სიენელთა ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდების სიძლიერეში ნიკა მეტრეველის თამაშების მიმოხილვაში დარწმუნდებოდით, „მონტეპასკის“ პირველმა გუნდმა კი შესაძლებლობები **ნიკა ცქიტიშვილის** „ტერამოსთან“ დაამტკიცა. „მონტეპასკის“ იტალიის ჩემპიონატში 16 ტურის განმავლობაში ერთი წაგებაც არა აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

ნიკა ცქიტიშვილი

ნიკა მეტრეველი

ნიკა თასზე ვერ მოხვდა

იტალიის ჩემპიონატში გაიმართა 2007 წლის ბოლო ტური, რომელსაც დამატებითი დატვირთვა ჰქონდა - სწორედ მე-16 ტურის შემდეგ უნდა გამოვლენილიყო იტალიის თასის 8 მონაწილე. შერჩევის პრინციპი მარტივი იყო: ტურნირში ის რვეული მიიღებდა მონაწილეობას, რომელიც ახალ წელს სატურნირო ცხრილის საუკეთესო რვა გუნდს შორის მოხვდებოდა. **ნიკა ცქიტიშვილის** „ტერამოს“ „პრემიატასთან“ სტუმრად გამარჯვების შემთხვევაში თასზე მოხვედრის შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. როგორც წესი, ტერამოელებმა გასვლითი შეხვედრა მაღალ დონეზე ვერ ჩაატარეს და 92:106 დამარცხდნენ.

ჩვეულად ვერ ითამაშა ცქიტიშვილმაც. უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, სათამაშო დროის სიმცირემ ნიკას ეფექტური სტატისტიკის დაფიქსირების საშუალება არ მისცა: 15 წუთში 8 ქულა (5-დან 4 ორქულიანი) ჩააგდო და ბურთი სამჯერ მოხსნა. თუმცაღა, მწვრთნელს ქართველისადმი უნდობლობას ვერ დავნამებთ - **მასიმო ბიანკიმ** ნიკა ძირითადად ბოლო პერიოდში დატვირთა, მაგრამ ვერც მანამდე, ვერც მერე „ტერამოს“ „პრემიატას“ დამარცხების იარაღი არ აღმოაჩნდა.

ტერამოელებს მე-16 ტურის შემდეგ 7 მოგება აქვთ და სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზე არიან. ცქიტოს საშუალო მონაგარი კი ასე გამოიყურება: 16 მატჩი, 23.9 წუთი, 11.4 ქულა, 4.7 მოხსნა და 0.8 პასი.

აპენინის ნახევარკუნძულიდან ადრიატიკის ზღვის გავლით ბოსნიაში შევიაროთ, სადაც სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა „ბორაჩ ნექტარის“ ცენტრმა **დავით უგრეხელიძემ**. მისმა გუნდმა „ჰერცეგოვაჩს“ უმასპინძლა და არ იღორა - 99:61 იმარჯვა.

დათომ ბოსნიაში გადასვლის და ტრავმის მოშუშების შემდეგ სარეკორდო, 21 წუთი ითამაშა და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს: ცქიტიშვილის მსგავსად 5-დან 4 ორქულიანი გამოიყენა და მეგობრისგან განსხვავებით ორი საჯარიმოც მიაყოლა - 10 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება. მატჩის სნაიპერი დათოს თანაგუნდელი **ბორის როთბარტი** გახდა - 20 ქულა, 11 მოხსნა.

„ბორაჩ ნექტარი“ ზედიზედ 5 წაგების შემდეგ გონს ნელ-ნელა მოდის და სატურნირო ცხრილშიც მდგომარეობას იუმჯობესებს. ამჯამად მას 5 მოგება (5 წაგების წილ) აქვს და 13-გუნდიან ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა. ბოსნიის ჩემპიონატს 10 მოგებით „ბოსნა“ ლიდერობს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი



NBA .ვარსკვლავთა მატჩის გამოკითხვა

ერთი ნაბიჯით წინ

ამერიკულ მედიაში გამოქვეყნდა NBA-ს 2008 წლის „ოლ სტარის“ გამოკითხვის საშუალედო შედეგები. პირველ ეტაპთან შედარებით ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლა **ზაზა ფაჩულიამ**. მას სადღეისოდ 43.036 ხმა აქვს და აღმოსავლეთის ცენტრებს შორის მეცხრე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ ვარსკვლავთა მატჩში, რომელიც თებერვალს ნიუ ორლეანში გაიმართება, მხოლოდ სასტარტო ხუთეულები გამოვლინდება ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგად. სათადარიგოებს მწვრთნელები შეარჩევენ. უკეთ რამ ნახოთ, „ოლ სტარში“ მოხვედრის რა შანსი აქვს ზაზა ფაჩულიას, აღმოსავლეთის ცენტრთა სრულ შედეგებს შემოგთავაზებთ.

1. დუაით ჰოვარდი (ორლანდო) - 970.778 ხმა, **2. შაკილ ო'ნილი** (მაიამი) - 466.292, **3. რაშიდ უოლასი** (დეტროიტი) - 124.348, **4. ბენ უოლასი** (ჩიკაგო) - 114.245, **5. ენდრიუ ბოგუტი** (მილუოკი) - 100.622, **6. ჯერმეინ ონილი** (ინდიანა) - 89.900, **7. ჟიდრუნას ილგაუსკასი** (კლივლენდი) - 55.217, **8. ემეკა ოკაფორი** (შარლოტი) - 51.490, **9. ზაზა ფაჩულია** (ატლანტა) - 43.036, **10. ედი კარი** (ნიუ იორკი) - 37.252.

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

2008 რუსთავში გაიხსნება

15-18 იანვარს რუსთავში გაიმართება ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების **ზურაბ საკანდელიძისა** და **მიხეილ ქორქიას** მესამე მემორიალი, რომელშიც მონაწილეობას სუპერლიგის ექვსივე გუნდი მიიღებს.

A ჯგუფი: ენერჯი ინვესტი, მაკაბი, ვითა
B ჯგუფი: ავიამშენი, თსუ, დინამო

15.01.08
თსუ – დინამო 14:00
ენერჯი ინვესტი – მაკაბი 16:00

16.01.08
თბილავიამშენი – დინამო 14:00
ვითა – მაკაბი 16:00

17.01.08
თბილავიამშენი – თსუ 14:00
ენერჯი ინვესტი – ვითა 16:00

18.01.08
ფინალი (15:00).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრიუმფეებისა და სკანდალების სეზონი

მერიონ ჯონსი

ლუის ჰემილტონი

ასაფა პაუელი

მიილია კიდევ ერთი სპორტული სეზონი, რომელიც აღსავსე იყო როგორც შთამბეჭდავი სპორტული მიღწევებით, ისე დოპინგ-სკანდალებით. და მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში მან სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მსოფლიო სპორტის ცის კაბადონზე გამოჩნდა ახალი სუპერვარსკვლავი - ფორმულა ერთის ბრიტანელი ახალბედა **ლუის ჰემილტონი**. სამაგიეროდ, დიდების ზენიტიდან უცებ გაუჩინარდა ისეთი კაშკაშა ვარსკვლავი, როგორიც ცოტა ხნის წინ ამერიკელი სპრინტერი **მერიონ ჯონსი** იყო.

შვეიცარიელი მეჩოგნე **როჯერ ფედერერი** კვლავ მიუწვდომელია დანარჩენებისთვის, ამერიკელი მეგოლფე **ტაიგერ ვუდსი** ძველებურად ათამაშდა, ტურ დე ფრანსს კვლავაც დოპინგ-სკანდალები ჩრდილავს, საცურაო აუზში ამერიკელ **მაიკლ ფელპსს** ვერავინ შეედრება, სარბენ ბილიკს კი ორი „ხელმწიფე" ჰყავს - იამაიკელმა **ასაფა პაუელმა** 100 მეტრზე ახალი ფანტასტიკური შედეგი დააფიქსირა, თუმცა მანამდე, ოსაკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ვერაფერი მოუხერხა ამერიკელ **ტაისონ გაის**, ვინც შინ ოქროს სამი მედლით დაბრუნდა.

დღეს პროფესიულ კრივში ზემძიმე წონაზე მეტ ყურადღებას დაბალი წონების ბრძოლები იმსახურებს. მაგრამ კრივის მოყვარული კვლავაც ინარჩუნებს იმედს, რომ ზემძიმე წონას მალე ერთი, აბსოლუტური ჩემპიონი გამოუჩნდება. რაგბის მსოფლიო თასი ინგლისიდან სამხრეთ აფრიკის გზას გაუყენეს, სპორტული სეზონის მიწურულს კი ახალი სკანდალი აგორდა, რომელიც გვამცნობს, რომ პროფესიული ბეისბოლის სუპერვარსკვლავი ვერ გახდები, თუ ანაბოლურ სტეროიდებს არ იყენებ. ჰო, მართლა, **ბარი ბონდსმა** ლეგენდარული **ჰენკ აარონის** ჰოუმრანების რეკორდი გაუმჯობესა, თუმცა დოპინგის გამო, მისი მიღწევა აშკარად ჩრდილშია მოქცეული.

ფორმულა ერთში, ჰემილტონისგან ასეთი შესანიშნავ დებიუტს მეტნაკლებად ბევრი ელოდა, მაგრამ პირველივე სეზონში თუ ის ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა და სეზონის უმეტეს ნაწილს ლიდერის რანგში გაატარებდა, ამაზე, ალბათ, თავადაც არ შეეძლო ოცნება. მან კი ეს შეძლო და გამოუცდელობა რომ არა, ფორმულა ერთის ისტორიაში, მისი პირველი დებიუტანტი ჩემპიონი გახდებოდა. საბოლოოდ, მან მხოლოდ ერთი ქულა ნაგო „ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენთან**, ვინც იტალიურ საჯიხიბოში ლეგენდარული **მიხაელ შუმახერი** შეცვალა.

ფორმულა ერთის სპორტული სეზონი აშკარად დაჩრდილა შპიონაჟის სკანდალმა, რომელშიც ჰემილტონის გუნდი „მაკლარენი" დამნაშავედ სცნეს „ფერარის" ტექნიკური ინფორმაციის არალეგალურად მოპოვებასა და გამოყენებაში. სკანდალი ალბათ არ დაიწყებოდა, რომ არა ერთი შემთხვევითობა. ინგლისში, ქსეროასლების მაღაზიის თანამშრომელმა „ფერარის" პრეზიდენტ **ლუკა დი მონტეძემოლოს** აცნობა, რომ მას ვიღაც უცნობმა „ფერარის" ბოლიდის ტექნიკური დოკუმენტაციის და ესკიზების ასლები, ჯამში 780 ფურცელი გადააღებინა. საბოლოოდ, ეს სკანდალი „მაკლარენს" 100 მილიონი დოლარისა და კონსტრუქტორთა პირველობიდან დისკვალიფიკაციის ფასად დაუჯდა. თანაც, საქმე ჯერ საბოლოოდ არ დახურულა და მოსალოდნელია, რომ მას გაგრძელება მომდევნო სეზონშიც ექნება.

■ ■ ■

მძლეოსნობის სეზონი სკანდალების გარეშე ჩაივლიდა, რომ არა მერიონ ჯონსის აღიარება. ის კარგახანს უარყოფდა აკრძალული პრეპარატების გამოყენებას, მაგრამ ბალკო-ს საქმის გამოძიებამ აღიარებამდე მიიყვანა. ჯონსმა განაცხადა, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე და მის დაწყებამდეც, ინტენსიურად იყენებდა ანაბოლურ სტეროიდებს. ეს აღიარება მას სიდნეიში მოპოვებული ხუთივე მედლის (მათ შორის, სამი ოქროსი იყო) დაკარგვად დაუჯდა. ოღონდ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, ეს მედლები ვინმეს გადასცეს, თუ თავისთან დაიტოვოს. ამ ორჭოფობის ერთ-ერთი მიზეზი კი ისაა, რომ ას მეტრზე სპრინტში მეორეზე გასული ბერძენი **ეკატერინი თანუ** ჯერაც ეჭვმიტანილია დოპინგის გამოყენებაში.

არადა, მძლეოსანთა გასულმა სეზონმა არაერთი დასამახსოვრებელი მოვლენა დაგვიტოვა. ამ მოვლენათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ორი იყო და ორივე კაცების სპრინტში. ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე, ერთმანეთს თანამედროვეობის ორი ყველაზე გამორჩეული სპრინტერი - პაუელი და გაი დაუპირისპირდა. ბევრი დაძაბულ ასპარეზობას ელოდა. ხუმრობა ხომ არ არის, ოსაკამდე გაი პაუელთან დაუსწრებელ პაექრობას მცირე უპირატესობით იგებდა. სამაგიეროდ, პაუელი გვპირდებოდა, რომ ფორმის პიკს ოსაკაში მიაღწევდა.

იამაიკელი ოდნავ შეცდა. ოსაკაში, ას მეტრზე სპრინტში მან ვერცხლიც კი ვერ აიღო. გაიმიოლ გამარჯვებას მიაღწია, მერე ორას მეტრზე სპრინტიც მოიგო და 4x100 მეტრზე ესტაფეტაშიც გაიმარჯვა. სამაგიეროდ, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ პაუელმა ფანტასტიკური შედეგი გამოაცხო – ასი მეტრი 9.74 წამში (!) გაირბინა. ის ახლა პეკინის ოლიმპიადისთვის ემზადება და იქადნის, რომ ასი მეტრის უფრო სწრაფად გარბენაც შეუძლია.

მარათონში მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა ლეგენდარულმა ეთიოპიელმა **ჰაილე გებრსელასიემ**. კლასიკური დისტანცია (42.195 კმ) მან ორ საათში, ოთხ წუთსა და 26 წამში გაირბინა და 29 წამი მოაკლო ძველ რეკორდს, რომელიც ოთხი წლის წინ, მის ძველ მეტოქეს, კენიელ **პოლ ტერგატს** ჰქონდა დამყარებული.

■ ■ ■

რაგბის მსოფლიო თასზე, რომელსაც საფრანგეთმა უმასპინძლა, ბევრი ელოდა, რომ პირველობისთვის, ფრანგებთან და ზელანდიელებთან ერთად, ავსტრალიაც იბრძოლებდა. მაგრამ თასს სამხრეთ აფრიკის შესანიშნავი გუნდი დაეუფლა, რომელმაც ფინალში მოქმედი ჩემპიონი, ინგლისი დაამარცხა. ზელანდიამ კი მეოთხედფინალური ეტაპის გავლაც ვერ შეძლო. ეს ჩემპიონატი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ნაკრებმა. ნამდვილ აღმოჩენად კი არგენტინის გუნდი იქცა, რომელმაც საფრანგეთში გრანდების საპატიო კლუბის ჯარი შეაღო. ჩვენთვის მთავარი კი ისაა, რომ მომდევნო თასზეც ოცი გუნდი იასპარეზებს.

■ ■ ■

ცურვის მსოფლიო ჩემპიონატს ავსტრალიის მელბურნმა უმასპინძლა და ის ფელპსის ბენეფისად იქცა. ამერიკელმა მოცურავემ ოქროს შვიდი მედლის მოპოვება შეძლო და თანაც, მსოფლიოს ხუთი რეკორდიც გააუმჯობესა. ეს ოლიმპიადა რომ ყოფილიყო, ფელპსი თავისი სახელოვანი თანამემამულის, **მარკ სპიცის** ფენომენურ მიღწევას გაიმეორებდა. თუმცა, ამის საშუალება მას პეკინის ოლიმპიადაზე გაისად მიეცემა.

■ ■ ■

ჩოგბურთს ასეთი დომინანტი არასოდეს ჰყოლია და ალბათ, არც არასოდეს ეყოლებაქ თუმცა როჯერ ფედერერის დამარცხება კვლავაც განსაკუთრებულ მოვლენად ითვლება. მან დიდი სლემის სერიის სამი ტურნირი (ავსტრალიის ღია, უიმბლდონი და აშშ-ის ღია) მოიგო, მაგრამ კვლავ ხელი მეეცარა საფრანგეთის ღიაზე, სადაც ფინალში ისევ ესპანელ **რაფაელ ნადალთან** წააგო. სამაგიეროდ, უიმბლდონის ფინალში როჯერმა სრულფასოვანი რევანში აიღო და რაც მთავარია, ზედიზედ მეხუთედ გახდა ამ პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონი, რითაც შვედი **ბიორნ ბორგის** მიღწევა გაიმეორა.

ამჟამად ფედერერის ანგარიშზე დიდი სლემის 12 ტიტულია. ორიც და ის ამერიკელი **პიტ სამპრასის** მიღწევას გაიმეორებს, იმ სამპრასისას, რომელთან ერთადაც, სეზონის ბოლოს აზიური ტურნე მოაწყო. ტურნეს დროს, მათ სამი საჩვენებელი შეხვედრა გამართეს, რომელთაგან პირველი ორი შვეიცარიელმა მოიგო, ბოლო კი – ამერიკელმა. ამ წაგების შემდეგ ფედერერმა თქვა - სამპრასი ახლაც რომ თამაშობდეს, მოწინავე ხუთეულში აუცილებლად იქნებოდაო. არადა, პიტი ჩოგბურთიდან ხუთი წლის წინ წავიდა...

ქალებში პირველობას არავის უთმობს ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**, რომელმაც დიდი სლემის ორი ტურნირი მოიგო (ვინ იცის, ოჯახური პრობლემები რომ არა, იქნებ მესამეც მოეგო) და სეზონი რეიტინგის მოწინავე საფეხურზე დაასრულა. დანარჩენი ორი სასლემო ტურნირი ამერიკელმა დებმა **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა** მოიგეს (შესაბამისად, ავსტრალიის ღია და უიმბლდონი). სხვათა შორის, სეზონის ბოლოს, ჩოგბურთის ლეგენდამ, ამერიკელმა **ბილი ჯინ კინგმა** ჟუსტინზე განაცხადა, ის საუკეთესოა მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავსო.

■ ■ ■

რაც შეეხება საგზატკეცილო ველოსპორტს, მისი ყველაზე გამორჩეული ტურნირები კვლავ დოპინგსკანდალების ჩრდილში მოექცა. ფრანგული ტურის შარშანდელ გამარჯვებულს, ამერიკელ **ფლოიდ ლენდისს** მოპოვებული ტიტული ჩამოერთვა და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. წლევანდელი ველომართონის დროს კი რამდენიმე ფავორიტი რბოლიდან მოიხსნა. ჯერ იყო და, სისხლის დოპინგის გამოყენებაში ამხილეს ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვი**, შემდეგ კი ტყუილში (დოპინგთან დაკავშირებულ) გამოიჭირეს ყვითელი მაისურის მფლობელი, დანიელი **მიქაელ რასმუსენი**. ორივე რბოლიდან მოიხსნა, ჩემპიონი კი ესპანელი **ალბერტო კონტადორი** გახდა. თუმცა, მასზეც ამბობენ, სუფთა არც ის არისო.

ასეა თუ ისე, კონტადორი ჯერჯერობით ჩემპიონად ითვლება. სამაგიეროდ, მისი გუნდი, ამერიკული დისკავერი ჩენელი, რომელთან ერთადაც, ფრანგული ტური ზედიზედ შვიდჯერ მოიგო ლეგენდარულმა **ლენს არმსტრონგმა**, სპონსორის გარეშე დარჩა, რის გამოც, კონტადორს ყაზახურ „ასტანაში" გადასვლა მოუხდა. არსებობა შეწყვიტა კიდევ ერთმა დიდმა გუნდმა - გერმანულმა „ტე-მობილმა", რომელსაც სპონსორობაზე უარი ამავე სახელის მატარებელმა გერმანულმა სატელეკომუნიკაციო გიგანტმა უთხრა.

■ ■ ■

იმ დროს, როდესაც კრივის დიდების დარბაზში ლეგენდარული **ლარი ჰოლმსი** მიიწვიეს, ზემძიმე წონას, რომელშიც ის ოდესღაც ბატონობდა, კვლავაც არ ჰყავს ერთი, აბსოლუტური ჩემპიონი. სამაგიეროდ, როჭოს წონაში ბრწყინავს **ფლოიდ მეიუეზერ უმცროსი**, რომელმაც ერთ სეზონში ორი დიდი ბრძოლა გამართა და ორივეში გამარჯვებას მიაღწია, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი კრივის ისტორიაში.

■ ■ ■

სანამ ჩვენი გმირები და ანტიგმირები გასულ სეზონში ოფლად იღვრებოდნენ, უსაქმოდ არც პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორები მჯდარან. მართალია, მათ ვერ მიაღწიეს იმას, რომ ოლიმპიურმა ჩირაღდანმა ტაივანშიც გაიაროს, მაგრამ სამაგიეროდ, უკვე დაწყებულია ოლიმპიადის ტურნირებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. ორგანიზატორებს ამ საქმეში გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, თუმცა ისინი დაძლეულია. როგორც ამბობენ, ბილეთებზე მოსალოდნელზე გაცილებით მეტი მოთხოვნილებაა და ბევრი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი წუწუნებს კიდეც, რამდენსაც ველოდით, იმდენი ბილეთი არ მიგვიღიაო.

ასეა თუ ისე, უკვე თითქმის დასრულებულია ყველა ოლიმპიური არენის, მათ შორის, გრანდიოზულ სტადიონ „ჩიტის ბუდისა" და უნიკალური სანყლოსნო კომპლექსის მშენებლობა. მათი ოფიციალური ჩაბარება კი საგაისოდ იგეგმება.

ოლიმპიადისთვის ჩინელი სპორტსმენებიც დიდი მონდომებით ემზადებიან. ბევრი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ ჩინეთის ოლიმპიური დელეგაცია, მოპოვებული მედლების რაოდენობით, კონკურენციას თვით აშშ-ის ნაკრებსაც კი გაუწევს. ამ ვარაუდის საფუძველს კი ჩინელი სპორტსმენების ის პროგრესი იძლევა, რომელიც სპორტის თითქმის ყველა სახეობაში შეიმჩნევა.

სწორედ პეკინის ოლიმპიადაა მომავალი სპორტული სეზონის მთავარი მოვლენა და რა თქმა უნდა, იმ სპორტსმენთა უმეტესობა, რომელთა მიღწევებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, პეკინში ყველაზე სანუკვარი ტიტულების დაუფლებას ეცდება. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათგან არც პაუელს, არც გაის, არც ფედერერს, ჯერაც არ მოუპოვებიათ ოლიმპიური ოქროს მედლები...

მერაბ ლორთქიფანიძე

ტაისონ გაი

მაიკლ ფელპსი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ლებრონი მაინც ლებრონია



ლებრონ ჯეიმსი

ბოლო ოთხი მატჩიდან მესამე შეხვედრის მოგებით, **ლებრონ ჯეიმსმა** და მისმა "კავალიერსმა" ოდნავ მაინც გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, თუმცა ბოლო გამარჯვება მაინც განსაკუთრებული იყო - სად უემოციო "მაიამის" ძლევა და სად "დალასის" დამარცხება მისსავე მოედანზე.

ეივერი ჯონსონის გუნდი ავ-კარგად მიჰყვება დინებას და უსაშველოდ შორსაა იმ თამაშისგან, რითაც "მაერიქსმა" წინა წელს 82-დან 67 შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

"კლივლენდმა" მოიგო თამაში, რომელიც წესით უნდა წაეგო, რადგან გუნდმა საშინლად ისროლა როგორც თამაშიდან, ასევე საჯარიმოს ხაზიდან - "ცოცხალი" სროლების მხოლოდ 36-პროცენტიანი რეალიზაცია, 16-ში 14 გამოუყენებელი სამქულიანი და 10 (!) გაფუჭებული საჯარიმო - ასეთი იყო გამარჯვებული გუნდის "სანაქებო" სტატისტიკა. ისიც ვთქვათ, რომ "კავალიერსმა" ზედიზედ ორი შეხვედრა ბოლო ერთი თვის განმავლობაში პირველად მოიგო.

არადა, ლებრონმა ძალიან ცუდად, ბევრი შეცდომით დაიწყო შეხვედრა და პირველ მეოთხედში ჯერ ბურთის ტარებისას წაიქცა, მერე **დრიუ გუდენს** ისეთი პასი გაუკეთა, ამ უკანასკნელს კინაღამ სახე მიუბრტყელა. დაცვაში ლებრონს თავიდან **ჯოშ ჰოვარდის** წინააღმდეგ თამაში მოუხდა, მაგრამ ჯოშმა რამდენიმე უიოლესი სროლა გამოიყენა და ლებრონსაც **დირკ ნოვიცკი** ჩააბარეს.

"კლივლენდს" დალასში 2000 წლის შემდეგ არ მოეგო და ამდენად, აღნიშნულ გამარჯვებას ლებრონისა და კომპანიისთვის ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა.

"მაერიქსმა" ზედიზედ მეორედ წააგო, მანამდე კი ერთმანეთის მიყოლებით ხუთი მატჩი ჰქონდა მოგებული. ტეხასელთა რეგრესი სახეზეა - მიმდინარე რეგულარულში ნოვიცკის გუნდს აღმოსავლელებთან უკვე 6 მარცხი დაუგროვდათ და ბოლო წლების ერთ-ერთი გრანდის 11 ჯამური წაგებაც არ ამშვენებს "მაერიქსის" სტატუსს.

"დალასი" უსისტემოდ უტევს და აღნიშნულ მატჩში მასპინძლებმა 20 სამქულიანიდან მხოლოდ 4 გამოიყენეს, დირკმა კი 10-ჯერ (!) სცადა ბედი შორი დისტანციიდან და შვიდი სროლა გააფუჭა.

ნოვიცკისთვის ამ სეზონში სარეკორდო 20 მოხსნა ბონუსი კი იყო, მაგრამ გერმანელის თამაშში მაინც საკმაოდ ბევრი წუნი შეიმჩნეოდა.

"ნოვიცკი ვარსკვლავია, თუმცა მასზე დიდ მოთამაშეებსაც ჰქონიათ ჩავარდნები. საერთოდ არ მესმის, როგორ შეიძლება მოთამაშის მხრიდან თამაშის ჩაგდებაზე საუბარი, როდესაც იგი შეხვედრას 19 ქულითა და 20 მოხსნით ასრულებს", - ამბობს „"დალასის" **ჯეისონ ტერი**. თუ ვინმეს აქვს ჩავარდნა, ეს პირველ რიგში სწორედ ტერია. წინა შეხვედრაში, "იუტასთან" წაგებულ მატჩში მან ათივე "ცოცხალი" ტყორცნა გააფუჭა და ამჯერად 12-ჯერ ისროლა და მხოლოდ სამჯერ ივარგა.

"კლივლენდმა" პირველი ათი სამიანი გააფუჭა, ერთ-ერთ მონაკვეთში ლებრონმა 5-დან 4 საჯარიმო ვერ გამოიყენა, მაგრამ სამი მეოთხედის შემდეგ სტუმრები მაინც 6 ქულას იგებდნენ.

"მაერიქსის" მთავარმა მწვრთნელმა ეივერი ჯონსონმა ტექნიკური შენიშვნა მატჩის დაწყებიდან 22 წამის შემდეგ მიიღო, თუმცა მერე აღარ შესულა "მჭიდრო" კონტაქტში მსაჯებთან და მატჩი უკონფლიქტოდ დაასრულა. და ერთიც, "დალასის" დარბაზი ზედიზედ 250-ედ გაიივსო პირთამდე, რაც ზელიგის ყველა დროის აბსოლუტური რეკორდია.

...

გრძელდება "ყველა ვარსკვლავის" მატჩის სასტარტო ხუთეულების წევრების შესარჩევად დაწყებული გამოკითხვა.

ხმები მეორედ შეაჯამეს და რამდენად მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტი ხმა არა **იაო მინს** ან ლებრონ ჯეიმსს, არამედ **კევინ გარნეტს** აქვს დაგროვილი, რომელსაც საშუალედო ლიდერობა წინა წლებში, ოღონდ დასავლეთის კონფერენციაში ტრადიციად ჰქონდა დამკვიდრებული.

გარნეტი ვარსკვლავთა მატჩის 10-გზის მონაწილეა და დიდი შანსია, რომ მასთან ერთად აღმოსავლეთის საბოლოო, 12-კაციან შემადგენლობაში "სელტიქსის" კიდევ ორი წევრი, **რეი ალენი** და **პოლ პირსიც** მოხვდნენ, ოღონდ ამ ორს, მწვრთნელები იმ შვიდ რეზერვისტში თუ შეიყვანენ, რომლებიც შემადგენლობას პირველი ხუთი კაცის გარკვევის მერე შეავსებენ.

ხმის მიცემის პროცედურა 20 იანვარს დასრულდება, 24 იანვარს კი ოფიციალურად გაცხადდება სასტარტოს წევრთა სია.

გთავაზობთ ორივე კონფერენციის ლიდერთა სიას:

აღმოსავლეთი

უკანა ხაზი: 1. დუეინ უეიდი (მაიამი) - 777 764 ხმა, 2. ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) - 559 333, 3. ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) - 468 501, 4. რეი ალენი (ბოსტონი) - 464 810, 5. გილბერტ არენასი (ვაშინგტონი) - 422 463.

ფორვარდები: 1. კევინ გარნეტი (ბოსტონი) - 1 186 690, 2. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) - 1 005 733, 3. კრის ბოში (ტორონტო) - 313 983, 4. პოლ პირსი (ბოსტონი) - 268 926, 5. იი ქსიანლიანი (მილუოკი) - 192 828.

ცენტრები: 1. დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) - 970 778, 2. შაკილ ონილი (მაიამი) - 466 292, 3. რაშიდ უოლასი (დეტროიტი) - 124 348, 4. ბენ უოლასი (ჩიკაგო) - 114 245, 5. ენდრიუ ბოგუტი (მილუოკი) - 100 622.

დასავლეთი

უკანა ხაზი: 1. კობი ბრაიანტი (ლეიეკრსი) - 941 716, 2. ტრეისი მაკგრეიდი (პიუსტონი) - 663 141, 3. სტივ ნეში (ფინიქსი) - 526 493, 4. ალენ აივერსონი (დენვერი) - 514 291, 5. მანუ ჯინობილი (სან ანტონიო) - 220 620.

ფორვარდები: 1. კარმელო ენტონი (დენვერი) - 767 722, 2. ტიმ დანკანი (სან ანტონიო) - 722 059, 3. დირკ ნოვიცკი (დალასი) - 686 853, 4. კარლოს ბუზერი (იუტა) - 281 299, 5. ჯოშ ჰოვარდი (დალასი) - 251 756.

ცენტრები: 1. იაო მინი (ჰიუსტონი) - 813 305, 2. ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი) - 463 916, 3. ერიკ დემპიე (დალასი) - 171 386, 4. მარკუს კემბი (დენვერი) - 161 807, 5. პაუ გასოლი (მემფისი) - 118 759.

ზურაბ თალაკვაძე

დალასი-კლივლენდი 88:81

20:23, 18:24, 24:21, 19:20

დალასი: ნოვიცკი (19 ქ. 20 მ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ. 7 მ), სტექჰაუზი (11 ქ), ტერი (11 ქ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (24 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), ილგაუსკასი (18 ქ. 11 მ), ჰიუზი (17 ქ. 9 მ. 3 პ).

სიეტლი-ბოსტონი 96:104

19:24, 27:23, 21:23, 29:34

სიეტლი: დიურანი (25 ქ. 5 მ), დელონტე უესტი (19 ქ. 8 პ. 4 მ), შჩერბიაკი (14 ქ), უილკოქსი (13 ქ. 8 მ), კურტ ტომასი (7 ქ. 14 მ. 4 დ).

ბოსტონი: პირსი (37 ქ. 6 მ. 4 პ), გარნეტი (23 ქ. 14 მ. 2 ჩ. 2 დ), ე. ჰაუსი (13 ქ. 4 მ), პოუსი (10 ქ), რ. ალენი (10 ქ).

კლიპერსი-ფინიქსი 88:108

20:27, 20:32, 19:30, 29:19

კლიპერსი: მაგეტი (21 ქ. 5 მ), მობლი (14 ქ. 4 მ), ტორნტონი (14 ქ. 6 მ), კამანი (9 ქ. 9 მ. 2 დ).

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (30 ქ. 15 მ. 4 დ), ბარბოსა (16 ქ. 6 პ. 4 მ), გ. ჰილი (16 ქ. 3 პ. 3 დ), ბენქსი (11 ქ), მერიონი (9 ქ. 5 მ. 4 პ), ნეში (9 ქ. 12 პ).



კევინ გარნეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 დეკემბერი. შაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ეინდჰოვენი.
15:10 საფეხბურთო კლუბი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 შოტლანდიის ჩემპიონატი. ჰიბერნიანი-რეინჯერსი (LIVE).
18:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).
23:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
01:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:15 შოტლანდიის ჩემპიონატი. ჰიბერნიანი-რეინჯერსი.

SPORT 1 (უკრაინა)

09:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:10 სპორტკლუბი.
10:27 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:57 სპორტის სამყარო.
11:26 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98. იუვენტუსი-დინამო.
13:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-რეინჯერსი.
14:59 ფეხბურთი. Barca TV.
15:07 სპორტის სამყარო.
15:38 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:07 ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. გენტი. ბელგია.
17:10 ფეხბურთი. Barca TV.
17:18 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
18:16 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).
23:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ბაფალო.
01:05 ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. გენტი. ბელგია.
02:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
03:58 ფეხბურთი. Barca TV.
04:07 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
04:35 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98. იუვენტუსი-დინამო.
06:19 მინი-მოედანი.
06:49 ფეხბურთი. Barca TV.
06:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.

EUROSPORT

11:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. ქალები. 3 კმ. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
12:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 4.5 კმ. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
12:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
14:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სხრაფდაშვება. ბორმიო. იტალია (LIVE).
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
17:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
18:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
19:15 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ლივერპული-ალავესი. 2000-01.
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ლივერპული-მილანი. 2004-05.
21:15 მულტისპორტი.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. კვალიფიკაცია. ობერსდორფი. გერმანია.
23:30 მულტისპორტი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 სუმო.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:30 ექსტრემალური სპორტი.
13:00 სერფინგი. ევროპის ტური.
13:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.
14:30 სერფინგი. ევროპის ტური.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. დინამო (რუსეთი)-ნიმბურკი (ჩეხეთი).
18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 1994-2000.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ზეეზდა (რუსეთი).
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-კალიში (პოლონეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 მულტისპორტი.
23:00 ახალი ამბები.
23:30 სუპეკროსი.
01:00 მოტოფრისტაილი. საფრანგეთი.
02:00 ახალი ამბები.

30 დეკემბერი. კვირა

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 შოტლანდიის ჩემპიონატი. ჰიბერნიანი-რეინჯერსი.
15:15 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ფეიენოორდი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ლივერპული (LIVE).
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ნიუკასლი.
23:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ფეიენოორდი.

SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
09:46 სპორტდოსიე. გოლფი.
10:11 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ბაფალო.
11:58 სპორტკლუბი.
12:13 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
13:59 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეეფურნალი.
14:17 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. რომა-მანჩესტერ იუნაიტედი.
16:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
17:28 ფეხბურთი. Barca TV.
17:38 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
19:26 სპორტკლუბი.
19:42 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეეფურნალი.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი (LIVE).
22:00 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2002-03. იუვენტუსი-მილანი.
00:51 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
02:36 ფეხბურთი. Barca TV.
02:45 სპორტდოსიე. გოლფი.
03:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ბაფალო.
05:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. რომა-მანჩესტერ იუნაიტედი.
06:54 ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. გენტი. ბელგია.

EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. კვალიფიკაცია. ობერსდორფი. გერმანია.
13:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS140. ობერსდორფი. გერმანია (LIVE).
14:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. კვალიფიკაცია. ობერსდორფი. გერმანია.
16:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS140. ობერსდორფი. გერმანია.
17:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა. 15 კმ. ობერსდორფი. გერმანია (LIVE).
17:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
18:30 მულტისპორტი.
19:30 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. ფეიენოორდი-დორტმუნდი. 2001-02.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. დორტმუნდი-იუვენტუსი. 1996-97.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ობერსდორფი. გერმანია.
23:00 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ობერსდორფი. გერმანია (LIVE).
01:00 სპორტული სამეჯლისო ცეკვები. მოსკოვი. რუსეთი.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
14:00 მულტისპორტი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 პული. ევროტური. შვეიცარია.
16:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. კამერუნი.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 2000-2006.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.
20:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 მულტისპორტი.
23:00 ახალი ამბები.
23:30 კიკბოქსინგი.
01:00 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

კალათბურთი

ევროპელები

ბარსელონა-რეალი	84:65
ვალადოლიდი-ფენერბაღჩე	91:86
ხირონა-გრან კანარია	76:59
კახასოლი-ბაუგრესი	56:77
მანრესა-ბილბაო	76:83

პოკერი

მს. ჩემპიონატი

UNDER 21

დანია-შვედეთი	1:10
შვეიცარია-აშშ	2:4

გერმანია

აისბარენი-იზერლონი	7:2
აუგსბურგი-ნიურნბერგი	6:3
პანოვერი-ვოლფსბურგი	4:1
დიუსელდორფი-შგრაუბინგი	2:1
კიოლნი-პაბერბერგი	4:2
ფრანკფურტი-ინგოლშტადტი	4:3

ესპანეთი

ჟირონა-პუერტო	3:1
კე

NHL. რეგულარული ჩემპიონატი



ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲤᲝᲠᲝᲜᲢᲝ 4:1

1:0, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 ჯ. კარტერი-13 (ჰარტნელი-8, რ. ჯონსი-13), 2:0 ლუპული-14 (ბრიერი-22, ნუბლი-12), 2:1 სუნდინი-17 (ტ. კაბერლე-20, უელვუდი-5), 3:1 ბრიერი-16 (ჯ. სმიტი-4, რ. ჯონსი-14), 4:1 ლუპული-15 (მ. რიჩარდსი-25).

ᲐᲒᲚᲐᲜᲢᲐ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 3:5

0:2, 0:0, 3:3

გოლები: 0:1 ჰორტონი-9 (ო. იოკინენი-19, შტუმპელი-11), 0:2 დვორაკი-4 (ზედნიკი-8, მაკლინი-3), 1:2 კოვალჩუკი-30 (ტ. უაიტი-12, კლი-5), 1:3 სალეი-3 (კრეესი-5), 2:3 რეკი-7 (კოვალჩუკი-19, ენსტრიომი-19), 2:4 ჰორტონი-10 (კალიმორი-3, უეისი-15), 3:4 კოვალჩუკი-31 (ჰოლიკი-10, ჟიტნიკი-3), 3:5 ბოუმისტერი-5 (შტუმპელი-12).

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜი-ᲐᲜᲐᲰᲔᲘმი 1:2

0:0, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 რისონერი-4 (გილბერტი-7, პიტკანენი-5), 1:1 პერი-20 (ბერტუცი-7, გეტცლაფი-25), 1:2 უეიტი-5 (რაიანი-1, ჰასკინსი-8).

ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲘ 5:2

0:0, 3:0, 2:2

გოლები: 1:0 სპეცა-13 (ჰიტლი-26, რედენი-16), 2:0 ალფრედსონი-22 (სპეცა-35, ჰიტლი-27), 3:0 ვერმეტი-8 (კ. კელი-11), 3:1 გერინი-11 (პარკი-9), 4:1 ფოლინო-5 (ბასი-1, კ. ფილიპსი-6), 5:1 მ. ფიშერი-11 (კ. ფილიპსი-7, რ. რობიტაილი-7), 5:2 გერინი-12 (კომო-2, კომრი-18).

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜი 4:3 (ᲝᲕ)

2:1, 0:2, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ტეფი-1 (ი. რუუტუ-2, სიდორი-3), 1:1 ბრაშირი-2 (გორდონი-3), 2:1 კ. არმსტრონგი-4 (რაიან უიტნი-10, კროსბი-33), 2:2 პოტიე-5 (ბეესტრიომი-18, ვიქ. კოზლოვი-19), 2:3 ოვეჩკინი-26 (ბეესტრიომი-19), 3:3 სიდორი-1 (ე. კრისტენსენი-7), 4:3 გონჩარი-7 (კროსბი-34, კ. არმსტრონგი-11).

ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲔᲘ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚი 2:5

0:2, 0:1, 2:2

გოლები: 0:1 ლაპიერი-1 (კომისარეკი-7, ა. მარკოვი-15), 0:2 ლატენდრესი-10 (ს. კოიეუ-21, ს. კასტიცინი-3), 0:3 კოვალიოვი-16 (კომისარეკი-8, პლეკანეცი-17), 0:4 ა. მარკოვი-10 (შტრაიტი-15, ს. კოიეუ-22), 0:5 ა. კასტიცინი-7 (პლეკანეცი-18, კოვალიოვი-17), 1:5 პროსპალი-16 (იანიკი-1, ტარნავსკი-1), 2:5 ჰლავაჩი-5 (ტარნავსკი-2, ლუნდინი-6).

ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ 4:3

1:0, 1:2, 2:1

გოლები: 1:0 არნოტი-13 (უიდლიცკი-17, კოისტინენი-5), 1:1 ბიჩი-4 (ჩიმერა-10, ჰეინსი-15), 2:1 რადულოვი-9 (უიდლიცკი-18, ლეგვანდი-19), 2:2 ვიბორნი-3 (ჰეინსი-16, ნოვოტნი-9), 2:3 ნოვოტნი-6 (ჟერდიოვი-14), 3:3 ტუტუ-7 (უიდლიცკი-19, კოისტინენი-6), 4:3 კოისტინენი-1 (ლეგვანდი-20, ბონკი-6).

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘტი 2:4

1:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ფილპულა-12 (კრონვალი-15), 0:2 ფილპულა-13 (კრონვალი-16, სამუელსონი-16), 1:2 მაკლეოდი-1, 2:2 სვატოსი-13 (ჰლინკა-9, ფინგერი-7), 2:3 ჰუდლერი-10 (დრეიპერი-7, ლებდა-8), 2:4 სამუელსონი-5 (რაფალსკი-28).

ᲤᲘᲜᲘᲥᲡი-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 2:3

0:1, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 ბელანჟე-9 (ბერნსი-13, ბუშარი-23), 1:1 პერო-3 (დ. მორისი-5, იენდლი-1), 1:2 პერიში-8 (ბელანჟე-14, ბერნსი-14), 1:3 როლსტონი-13 (კ. იონსონი-10, ბელანჟე-15), 2:3 ლისინი-1 (დოუნი-19, ბალარდი-7).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠი-ᲙᲐᲚ�გᲐᲠი 5:3

3:1, 1:2, 1:0

გოლები: 0:1 იგინლა-25 (ფანოფი-21, ა. ოკუანი-14), 1:1 რეიმონდი-3 (პიატი-11, ა. მილერი-4), 2:1 დ. სედინი-16 (ჰ. სედინი-30), 3:1 სალო-1 (ედლერი-7, ნესლუნდი-19), 3:2 კონროი-5 (რეგერი-7, ტანგეი-22), 3:3 ლომბარდი-9 (ა. ოკუანი-15, რეგერი-8), 4:3 ჰ. სედინი-7 (დ. სედინი-20, ნესლუნდი-20), 5:3 პიატი-9 (რეიმონდი-5, ჯეფრეი-2).

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲗᲐᲜ

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑი

2007 ᲬᲚᲘᲡ სეზონში WTA-ს ტურს ორი ვარსკვლავი გამოაკლდა. წლის ბოლოს, აქტიური სპორტიდან სკანდალით წავიდა შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, რომელიც უიმბლდონის დროს კოკაინის მიღებაშია ეჭვმიტანილი.

მსოფლიო რეიტინგის კიდევ ერთი პირველი ნომერი, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** კი, სეზონის პირველ ნაწილში დაგვემშვიდობა. მას ამისთვის საპატიო მიზეზები ჰქონდა - ქრონიკული ტრავმები და საკუთარი ქორწილი.

თუ ჰინგისის დაბრუნება პროფესიულ სპორტში თითქმის გამორიცხულია, კიმს ამერიკელი **ლინდსი დავენპორტის** სახით კარგი მაგალითი ჰყავს. კლაისტერსი ფეხმძიმედაა და თებერვალში შვილს ელოდება. დავენპორტმა უკვე გააჩინა ქალიშვილი და WTA-ს ტურში დაბრუნება და ორი ტურნირის მოგებაც მოასწრო.

საინტერესოა, მიბაძავს თუ არა ბელგიელი თავის მეგობარს?

ᲨᲘᲨᲔᲑი

კიმს ორი რამის ეშინია: ტრავმებისა და თვითმფრინავების. 2004 წელს, მარცხენა მაჯაზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, მას თითქმის მთელი სეზონის გამოტოვება მოუწია. პატარა მოედანზე სოფტბოლში ვარჯიში - ოპერაციის შემდეგ, საკმაოდ დიდი ხანი სწორედ ასე გამოიყურებოდა კლაისტერსის ყოველდღიური მონოტონური და მომქანცველი ვარჯიშები. მიუხედავად ამ ტრავმისა და ხანგრძლივი აღდგენითი პროცესისა, კიმმა მაინც მოიპოვა თავისი პირველი (და მისი თაყვანისმცემლებისთვის სამწუხაროდ, ერთადერთი) გამარჯვება „დიდი სლემის" ტურნირებზე. ეს 2005 წელს, აშშ-ის ღია პირველობაზე მოხდა.

ᲝᲯᲐᲮი

კიმის დედა **ელსი** ტანმოვარჯიშე იყო. კარიერის დასრულების შემდეგ, მას კიბოს დაავადება აღმოუჩინეს, რასაც მოგვიანებით ის წარმატებით გაუმკლავდა. მამა **ლეო** - წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გახლდათ და ბელგიის ნაკრებშიც თამაშობდა. 2005 წელს, ლეომ **მარკ დეჰოუსი** შეცვალა და თავად გახდა ქალიშვილის მწვრთნელი. რა თქმა უნდა, მის მოვალეობებში არ შედიოდა შვილის კორტზე გაწვრთნა. *„ის მე ყველაზე კარგად მიცნობს. აქ საქმე მხოლოდ და მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას ეხება. არ მჭირდება არავინ, ვინც მეტყვის, რომ მაგალითად უნდა შევცვალოთ მარჯვნიდან დარტყმა"*, - ამბობდა მაშინ კიმი.

კლაისტერსის კუზენი **ტიმი** ფიზიოთერაპევტის ფუნქციებს დღემდე ასრულებს. კიმისთვის ოჯახი ყველაზე მაღლა დგას: *„ისინი ყოველთვის ჩემს გვერდით იყვნენ. მათ პოპულარობაზე და ფულზე მაღლა ვაყენებ"*.

ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲖᲛი

გასაოცარი შპაგატები, უჩვეულო ელასტიურობა - კიმის ათლეტიზმში ძნელად თუ ვინმე შეედრება. კორტზე ფეხებით ის განსაცვიფრებლად მუშაობს. ავსტრიელი **ბარბარა შეტის** ყოფილი მწვრთნელი **ჰარალდ მაირი** ერთხელ, უიმბლდონის დროს დაეხმარა კიმს და ის დღემდე აღფრთოვანებულია ბელგიელის ფიზიკური მონაცემებით: *„მისი გადაადგილება კორტზე დაუჯერებელია. ასე მხოლოდ მამაკაცებს შეუძლით"*.

ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑი

„ჩოგბურთი არ თამაშობს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს", - არაერთხელ უთქვამს კიმს თავისი კარიერის მანძილზე. მას მეგობრები და ოჯახი პირველად ადგილზე ჰყავს დაყენებული. ბელგიაში კლაისტერსს „მკვლელ კიმს" ან „კიმ კონგს" ეძახიან. ბავშვობაში მისი კერპი გერმანელი **შტეფი გრაფი** იყო.

ბელგიელს ძალიან უყვარს შოპინგი ლონდონსა და ნიუ იორკში და ამიტომაც ამ ქალაქებში ყოველთვის ბევრი ფული მიაქვს. კიმს აგრეთვე სუში უყვარს; და რა თქმა უნდა, მადონა.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑი

ავსტრალიელი ჩოგბურთელი **ლეიტონ ჰიუიტი**, რომელსაც თავის დროზე კინაღამ ცოლად გაჰყვა, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ბელგიელ მოდელ **ლიუკ ოპდელოჰტს** სცენაზე გამოჩენის მხოლოდ ხანმოკლე დრო მისცა. ახლა კიმის გული ამერიკელ კალათბურთელ **ბრაიან ლინჩს** ეკუთვნის, რომელიც ბელგიის პროფესიულ ლიგაში გამოდის. სხვათა შორის, კლაისტერსის გაცნობის შემდეგ, ლინჩმა ისეთივე ოთხფეხა მეგობარი შეიძინა, როგორიც ჩოგბურთელს ჰყავს - ინგლისური ბულდოგი.

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

Sportweekend-ის მიცემულ ინტერვიუში კლაისტერსმა განაცხადა, რომ ლინჩთან ქორწილი 2004 წლის 14 ივლისს შედგებოდა, მაგრამ კიმმა და ბრაიანმა ბულონის მუნიციპალიტეტის შენობაში 13 ივლისს, დილის 6 საათზე მოაწერეს ხელი. ცერემონიას ქალაქის მერი, კიმის და **ელკე**, ლინჩის ძმა და ახალშეუღლებულების მშობლები ესწრებოდნენ.

ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ტრავმების გამო დაკარგული 2004 წელი, შემდეგ ორი სრულფასოვანი სეზონი და ბოლოს 2007 წელი, რომლის მსვლელობისას კიმმა დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. რატომ მოხდა ასე - ის ხომ მხოლოდ 24 წლისაა? გადამწყვეტი აქაც ჯანმრთელობა აღმოჩნდა - კიმი ისევ შეაწუხა მუხლისა და ბარძაყის ქრონიკულმა ტრავმებმა. მომავალი ცხოვრებისთვის მან შეიძინა და გაარემონტა სოფლის სახლი ბელგიაში, ბრის ახლოს.

ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲒᲐ

ქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ, კიმმა გამოაცხადა, რომ ფეხმძიმედ იყო. კლაისტერსი და ლინჩი ქალიშვილის დაბადებას 2008 წლის თებერვლისთვის ელიან. *„თავს შესანიშნავად ვგრძნობ!* - განაცხადა ცოტა ხნის წინ, ბელგიელმა. - *ორსულობის პირველ თვეებში ძალიან მალე ვიღლებოდი, მაგრამ ეს ქორწილისთვის მზადების გამო ხდებოდა. მე და ბრაიანი დიდი ხანია ვფიქრობთ, რა დავარქვათ ჩვენს ქალიშვილს, მაგრამ ისეთი სახელი, რომელიც ორივეს მოგვეწონება, ჯერ ვერ შევარჩიეთ"*.

ᲬᲘ�გᲜი

2007 წლის სექტემბერში კიმმა გამოუშვა წიგნი, სახელწოდებით „ჩემი გულშემატკივრები". ბელგიელის სიტყვებით, მისი ნაშრომი - ეს არის მისი მადლობა იმ ფანებისთვის, რომლებიც მას მთელი კარიერის მანძილზე გვერდით ედგნენ და მხარს უჭერდნენ არამარტო ტრიუმფის, არამედ რთული მომენტების დროსაც. ათიათასობით ადამიანი მას რეგულარულად უგზავნიდა ნერილებს გასამხნევებლად და მხარდაჭერის გამოსახატავად. წიგნი 192 გვერდისგან შედგება და მასში გამოქვეყნებულია ფანების ყველაზე საინტერესო წერილები.

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ბუნებრივია, პრესა და გულშემატკივრები მუდმივად ინტერესდებიან იმის შესახებ, მიბაძავს თუ არა კლაისტერსი ამერიკელ ლინდსი დავენპორტს და შვილის გაჩენის შემდეგ, დაბრუნდება თუ არა პროფესიულ ტურში.

„ეს არის საკითხი, რომელ ზეც ყველა ზე ნაკლებად ვფიქრობ! - სიცილით ამბობს კიმი. - *ჯერჯერობით ოჯახთან და ჩემს ჯერ არდაბადებულ შვილთან ერთიერთობით ვტკბები. რაც შეეხება ლინდსის, ძალიან გამიხარდა მისი დაბრუნება. ელექტრონული ფოსტით ჩვენ ხშირად ვნერთ ერთმანეთს წერილებს. ის ამბობს, რომ ახლა ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ აბსოლუტურად ბედნიერი ადამიანი იყოს"*.

კიმი ბედნიერია

ᲧᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ-ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲔᲣᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲝᲗᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲒ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲒᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲫᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲒᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲗᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲒ ᲚᲝᲠᲗᲫᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑი:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲒ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲘᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲘᲨᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲒᲔᲫᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲒᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲑᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲓᲐᲠ ᲑᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ". 1936-39 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ "ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ", "ᲚᲔᲚᲝᲛᲓᲔ" ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ 362 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. 1949 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲗ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ.

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲗᲘᲗ "ᲡᲞᲝᲠᲢᲗᲐᲜ".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ 2002-06 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑი:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲘᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-ᲓᲐᲜ)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑი: ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ 10Ა, 0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(ᲓᲘᲚᲝᲛᲐᲠ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ)
53 39 11

ᲤᲐᲥᲡᲘ +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲦᲐ ᲥᲕᲘᲠᲘᲡᲐ